ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
25 სექტემბერი
1940 წ.
№ 223 (5924)
ფასი 10 კაპ.

კონტროლი გულისხმობს ეკონომიკის ღრმა ცოდნას

ჩვენში ზოგჯერ საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლი ცალმხრივად ესმით. არიან მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები, სადაც კმაყოფილდებიან მხოლოდ მოხსენებების მოსმენით იმაზე, თუ როგორ შესრულდა გეგმები. აქ ყურადღების ცენტრშია ე. წ. „საშუალო ციფრები“, კვარტალური თუ წლიური გეგმების შესრულების რიცხობრივი მაჩვენებლები. თუ გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მაშასადამე, საქმე კარგად არის. ნამდვილად კი გეგმის რიცხობრივი მაჩვენებლების შესრულება როდი ნიშნავს იმას, რომ წარმოებაში ყველაფერი რიგზე იყოს. რადგან რიცხობრივი მაჩვენებლები—ეს საქმის მხოლოდ ნახევარია. მთავარია ხარისხი, შრომის ნაყოფიერების სერიოზული ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

იმისათვის, რომ განახორციელო ნამდვილი, ბოლშევიკური კონტროლი საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, ღრმად უნდა იცნობდე მეურნეობის ეკონომიკას, კარგად უნდა იცნობდე მეურნეობის ისეთ გადამწყვეტ ფაქტორებს, როგორიც არის: ფინანსები, წარმოების შინაგანი რესურსები, დაგროვების წყაროები, პროდუქციის თვითღირებულების შემადგენელი ელემენტები და სხვა.

დასამალი არ არის, რომ ბევრი ჩვენი კომუნისტი, სამეურნეო მუშაკი და პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელი არ იცნობს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესს, არ იცის, რა ელემენტებისაგან შედგება პროდუქციის თვითღირებულება, წარმოდგენა არა აქვს ფინანსიურ მეურნეობაზე, არ იცის, როგორ სდგება ბალანსი და აქედან აშკარაა, რომ მოხსენებებში, რომელიც ეხება მეურნეობის საკითხებს, არ არის მოცემული წარმოების ფინანსების ანალიზი მეურნეობის ეკონომიკის სრული სურათი.

განა შეიძლება დაგეგმო და უხელმძღვანელო მეურნეობას ისე, თუ თვითონ კარგად არ იცნობ წარმოების ეკონომიკას?

ხშირად ჩვენს საწარმოებში უაზროდ იხარჯება ელექტროენერგია, არ ზდება ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვა, ყურადღება არ ექცევა შინაგანი რესურსების გამოყენებას, სრული დატვირთვით არ მუშაობენ დანადგარები, შეუთანხმებლად მუშაობენ საამქროები, რის გამო ადგილი აქვს მოცდენას. ყოველივე ეს თვალსაჩინო გავლენას ახდენს პროდუქციის თვითღირებულებაზე.

განა დაუდევრობით და გაუმართლებელი ხარჯებით არ უნდა ავხსნათ პროდუქციის თვითღირებულების ზრდის შემთხვევები?

არიან ისეთი სამეურნეო მუშაკები, რომლებიც საილუსტრაციოდ მოიყვანენ მრავალ ციფრებს და პროცენტებს თვითღირებულების შემცირებაზე, მაგრამ კომენტარიებისაგან თავს იკავებენ მხოლოდ იმიტომ, რომ არ ძალუძთ მოგვცენ ამ ციფრების ანალიზი.

ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი თავს არ იწუხებს ჩასწვდეს წარმოების დეტალებს, შეისწავლოს მეურნეობის ეკონომიკა. ამიტომ იგი ბრმად ეყრდნობა იმ „საშუალო ციფრებს“, რომელსაც მას მიაჩეჩებენ ბუხჰალტრები ანდა სტატისტიკოსები.

პარტია პირველადი ორგანიზაციებისაგან მოითხოვს, რომ ისინი გადაჭრით შემობრუნდნენ ეკონომიკისაკენ, ეკონომიურ-საფინანსო საკითხებისაკენ. გასაგებია, რომ კონტროლი უნდა წარიმართოს არა მარტო ტექნიკური, არამედ აგრეთვე ეკონომიური საქმიანობისაკენ.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც კარგად ახორციელებენ კონტროლს საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი ამ მხრივ უკვე დააგროვეს თვალსაჩინო გამოცდილება. განსაკუთრებით ეს იგრძნობა ახლა, როდესაც პარტიული ორგანიზაციები საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლს მთლიანად უქვემდებარებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულებისათვის ბრძოლას.

ჩვენ შეგვიძლია გაბედულად ვილაპარაკოთ შრომის ნაყოფიერების სერიოზულ ზრდაზე, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე, წარმოების შინაგანი რესურსების გამოყენებაზე, დაგროვების წყაროებზე იმ შემთხვევაში, თუ კარგად ვიცნობთ ტექნოლოგიურ პროცესებს, თუ ვიცნობთ მეურნეობის ეკონომიკას. ეს კი აუცილებლად საჭიროა. პარტიული აქტივი უნდა დაეუფლოს ეკონომიკას, რადგან კონტროლი გულისხმობს ეკონომიკის ღრმად ცოდნას.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ამჟამად თბილისის ხელმძღვანელი პარტიული აქტივისათვის ტარდება ციკლი ლექციებისა, რომელთა მიზანია შეაიარაღონ აქტივი ეკონომიკის ცოდნით. ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები და მათ შორის თბილისის მსხვილი საწარმოო პარტორგანიზაციათა მდივნები ისმენენ ლექციებს სსრ კავშირში სახალხო მეურნეობის დაგეგმვის პრინციპებზე, სსრ კავშირის მრეწველობის ძირითადი ფონდების გაფართოვებულ სოციალისტურ რეპროდუქციაზე, მრეწველობის დაფინანსებაზე, სამრეწველო საწარმოს ბალანსსა და მის ანალიზზე და ა. შ. დედაქალაქის ბოლშევიკების ეს ინიციატივა მეტად საგულისხმო და ყოველმხრივ მისასალმებელია.

საოლქო, საქალაქო და რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თბილისის კომიტეტის მსგავსად ხელი უნდა მოჰკიდონ აქტივის შეიარაღებას ეკონომიკის ცოდნით.

პარტიულ აქტივს ეკონომიური განათლება—ასეთია ახლა ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანა.

„...მეცნიერება, ტექნიკური გამოცდილება, ცოდნა — ყოველივე ეს შეიძლება შეძენილ იქნას. დღეს არა გვაქვს ისინი, მაგრამ ხვალ გვექნება. აქ მთავარი იმაშია, რომ გვქონდეს ძლიერი ბოლშევიკური სურვილი დავეუფლოთ ტექნიკას, დავეუფლოთ წარმოების მეცნიერებას. თუ ძლიერი სურვილი იქნება, ყველაფერის მიღწევა შეიძლება, ყველაფრის დაძლევა შეიძლება“. **(ი. სტალინი).**

წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო სამეცნიერო-საცდელი ინსტიტუტის იუბილე

23 სექტემბერს, საღამოს, წითელი არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სამეცნიერო-საცდელი ინსტიტუტის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სხდომას დაესწრნენ წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის გმირები, საბჭოთა თვითმფრინავების და მოტორების გამოჩენილი კონსტრუქტორები, ცნობილი მფრინავები, შტურმანები და ინჟინრები.

საზეიმო სხდომა გახსნა სამეცნიერო-საცდელი ინსტიტუტის უფროსმა, ავიაციის გენერალ-მაიორმა ამხ. ფილინმა, რომელიც დაწვრილებით შეჩერდა ინსტიტუტის ისტორიაზე, მის როლზე ძლიერი სამხედრო-საჰაერო ფლოტის შექმნის საქმეში, მან ილაპარაკა იმ ყურადღებასა და ზრუნვაზე, რომელსაც ყოველდღიურად იჩენენ საბჭოთა ავიაციის ადამიანთა მიმართ პარტია, მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი და ამხანაგი მოლოტოვი.

დიდი მოხსენება გააკეთა ბრიგადის ინჟინერმა, ამხ. შჩერბაკოვმა.

— თავისი არსებობის 20 წლის განმავლობაში, — სთქვა ამხ. შჩერბაკოვმა, — ინსტიტუტი სამხედრო ავიაციის მძლავრ სამეცნიერო-საკვლევო ცენტრად გადაიქცა. ინსტიტუტმა დიდი როლი შეასრულა საბჭოთა საავიაციო ტექნიკის განვითარებასა და მაღალი ხარისხის საბრძოლო თვითმფრინავებით წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უზრუნველყოფის საქმეში. ინსტიტუტში გამოიზარდნენ შესანიშნავი მფრინავები, საბჭოთა კავშირის გმირები—ამხ. გრომოვი, იუმაშევი, სუპრუნი, კოკინაკი, ბაიდუკოვი, დანილინი, სპირინი და მრავალი სხვანი.

დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი,** საბჭოთა მთავრობის მეთაურ ამხანაგ **მოლოტოვისადმი** და საბჭოთა კავშირის მარშლების— ამხანაგ **ვოროშილოვისა** და **ტიმოშენკოსადმი.** (საკდესი).

ავტოგადარბენა მოსკოვ-ლენინგრადის მარშრუტით

ლენინგრადი, 23 სექტემბერი (საკდესი). გუშინ აქ ფინიშზე მოვიდნენ მოსკოვ-ლენინგრადის მარშრუტით მოწყობილი ავტოგადარბენის მონაწილეები. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში გადარბენის კომანდორმა დ. რუბეცმა და პოლიტხელმძღვანელმა დ. ფინგარეტმა განაცხადეს:

გადარბენის მონაწილეთა წინაშე დასახული იყო ამოცანა: მოსკოვიდან ლენინგრადამდე ავტომანქანებს უნდა ევლოთ საათში საშუალოდ 35 კილომეტრის სისწრაფით, ისე რომ თითო მანქანას ერთი ჩასხმა 69 ლიტრი ბენზინი დაეხარჯა. გადარბენის მონაწილეებმა დავალება ჩინებულად შეასრულეს. მთელი დისტანცია საათში 35 კილომეტრის სისწრაფით გამოვიარეთ. ავზების გახსნისას აღმოჩნდა, რომ მძღოლ ნ. მიროშკინის მანქანაში დარჩენილიყო 5,98 ლიტრი ბენზინი, მძღოლ პ. კონევის მანქანაში კი—5,02 ლიტრი ბენზინი. ამრიგად, 100 კილომეტრ გზაზე დაიხარჯა საშუალოდ დაახლოებით 9 ლიტრი ბენზინი, ე. ი. ნორმაზე თითქმის 35 პროცენტით ნაკლები.

სრული წარმატებით გაიარა დისტანცია მსუბუქმა გაზგენერატორულმა მანქანამ.

მოწინავე საწარმოებმა ვადამდე შეასრულეს 9 თვის პროგრამა

24 სექტემბრისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის 10 საწარმომ (25 საწარმოდან) ვადამდე შეასრულა 9 თვის საწარმოო პროგრამა.

თბილისის საწარმოებიდან პირველი სამი კვარტალის პროგრამა ვადამდე შესრულებული აქვს: ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანას, სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხანას, მოლოტოვის სახელობის ავეჯეულის ფაბრიკას, ზომა-წონის ხელსაწყოების სარემონტო ტრესტს, ცელულოიდისა და საშტემპელო-საგრავერო ფაბრიკას და „ტექნიკა და შრომას“ სტამბას.

9 თვის გეგმა წარმატებით შეასრულეს „საქდიატომიტმა“, ნატანების ბიტუმის ქარხანამ და აბჰესმა. (საქდესი).

დაიწყო სარკინიგზო მიმოსვლა ფინეთთან

ლენინგრადი, 23 სექტემბერი (საკდესი). დღეს იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც სსრ კავშირსა და ფინეთს შორის დაიდო სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ და რომელიც ხელმოწერილ იქნა 6 სექტემბერს მოსკოვში, სატვირთო-სამგზავრო მატარებელთა პირდაპირი რეგულარული მიმოსვლა დაიწყო სსრ კავშირსა და ფინეთს შორის. სასაზღვრო სადგური ენსო გაიარა პირველმა სატვირთო მატარებელმა. მატარებლები რეგულარულად ივლიან სსრ კავშირიდან ფინეთში ორი მიმართულებით — ვიბორგსა და კექსჰოლმზე.

თათბირი სოფლის სკოლის მუშაობის შესახებ

მოსკოვი, 23 სექტემბერი. დღეს გაიხსნა თათბირი სოფლის საშუალო სკოლის მუშაობის შესახებ, რომელიც მოწვეულია რუსეთის სფსრ განათლების სახალხო კომისარიატის სკოლების სახელმწიფო-სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ. თათბირს ესწრებიან სოფლის საუკეთესო მასწავლებლები, აგრონომები, კოლმეურნეობათა და მშობელთა აქტივის წარმომადგენლები, მეცნიერი მუშაკები.

თათბირი გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ბ. ვ. ვსესვიატსკიმ.

— სოფლის საშუალო სკოლის წინაშე, — სთქვა მან, დასახულია ახალი ამოცანები. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლე მომზადებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო შრომისათვის. ამ მიზნით სოფლის არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში შემოღებულია სავალდებულო პრაქტიკული მეცადინეობა სოფლის მეურნეობაში. ამ მეცადინეობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკისა და ხაზვის სწავლა. ახლებურად მოეწყობა სკოლის გარეშე მუშაობაც. იქმნება ნორჩ ნატურალისტთა, მექავშირეთა, ელექტროტექნიკოსთა და ჰიდროლოგთა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემსწავლელი წრეები.

თათბირმა მოისმინა სკოლების ინსტიტუტისა და ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალური სადგურის უფროსი მეცნიერი თანამშრომლების მოხსენებანი.

თათბირი განიხილავს 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში სკოლებისა და ნორჩ ნატურალისტთა მონაწილეობის შედეგებს და ღონისძიებებს 1941 წლის გამოფენის მზადებისათვის (საკდესი).

საბჭოთა კავშირში

მილიონობით მეტრი ქსოვილი გეგმის გადამეტებით

ლენინგრადი. ლენინგრადის ოლქის ბამბეულის მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოებმა მესამე კვარტალის გეგმა ვადამდე შეასრულეს. ლენინგრადელმა ფეიქრებმა გეგმის გადამეტებით უკვე მოგვცეს 3.200 ათასი მეტრი ქსოვილი.

ამ თვის დამლევამდე ლენინგრადის ოლქის ბამბეულის მრეწველობის მთავარი სამმართველოს კომბინატები და ფაბრიკები გეგმის გადამეტებით დაამზადებენ კიდევ 1.800 ტონა ნართს, 5 მილიონზე მეტ მეტრ ქსოვილსა და 31 მილიონ კოჭ ძაფს.

ელისტა - დივნოეს გზის მშენებელთა დაჯილდოება

ელისტა. სახელმწიფო თეატრში გაიმართა პარტიის საოლქო კომიტეტის და ყალმუხეთის ასსრ სახკომსაბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ელისტა-დივნოეს გზატკეცილის მშენებლობის სტახანოველები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. იმ მშენებლებს, რომლებმაც განსაკუთრებით ისახელეს თავი, ყალმუხეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცათ. მშენებლობის მრავალი მონაწილე დაჯილდოებულია ძვირფასი საჩუქრებით. პარტიის საოლქო კომიტეტმა და ყალმუხეთის ასსრ სახკომსაბჭომ მადლობა გამოუცხადა მშენებელთა მთელს კოლექტივს.

„საქბარიტი“ სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატს გადაეცა

ცენტრალური ორგანიზაციების გადაწყვეტილებით „საქბარიტი“, რომელსაც მაღაროები აქვს ქუთაისის, ცაგერისა და წულუკიძის რაიონებში, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადავიდა.

საქართველოში არის მაღალხარისხოვანი ბარიტის მდიდარი საბადოები. ბარიტის ძირითადი მომხმარებელია საბჭოთა კავშირის ლაქისა და საღებავების მრეწველობა, კერძოდ ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა. ბარიტით მარაგდება აგრეთვე ნავთის მრეწველობა, რომელიც მას ჭაბურღილებში ჩასასხმელად ღრმად ბურღვის დროს იყენებს.

„საქბარიტის“ სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის შემდეგ განზრახულია მაღაროები მნიშვნელოვნად შეივსოს მოწყობილობით და სატრანსპორტო საშუალებებით, რაც საჭიროა მაღაროებიდან ბარიტის გამოსაზიდათ. (საქდესი).

ახალი მშენებლობა საქართველოს ნავთის მრეწველობაში

მიმდინარე წელს კაპიტალური მშენებლობის ხარჯები საქართველოს ნავთის მრეწველობაში საკმაოდ დიდ თანხას შეადგენენ და 10 მილიონ მანეთს სჭარბობენ. 10 სექტემბრისათვის ახალ მშენებლობაზე უკვე დაიხარჯა 6.750 ათასი მანეთი.

მთავრდება პატარა შირაქი—მირზაანი—კაჭრეთის ნავთსადენის აგება. ამ ნავთსადენით კახეთის სარეწებში მოპოვებული ნავთი მივა რკინიგზის მაგისტრალამდე. უკვე მზად არის ნავთსადენის უბანი პატარა შირაქიდან მირზაანის ნავთსახდელ ქარხნამდე; სხვა უბნებზე მილები ჩაწყობილი და შედუღებულია. მალე დაიწყება მილების მოკუპრვა და მიწაში ჩაწყობა. ნავთსადენის გასაყვანად გადადებულ 3 მილიონ მანეთიდან დახარჯულია 2.200 ათასი მანეთი. ნავთსადენი მზად იქნება მიმდინარე წელს.

1,5 მილიონი მანეთია დაბანდებული სამი ქარხნის (მირზაანის, სუფსისა და ნორიოს) მშენებლობაზე. ეს ქარხნები დაამზადებენ თიხოვან ხსნარს, რაც საჭიროა ჭაბურღილების სათხრელად. ქარხნები ამუშავდება წელს. თიხოვანი ხსნარის წარმოების გაფართოება შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს ბარიტის გამოყენება, რაც ძვირად ჯდება.

ნორიოში დაიწყო ნავთის გადასამუშავებელი დანადგარის აგება.

ვადამდე და გადამეტებით შესრულდა „საქნავთის“ ტრესტის სარეწების ტერიტორიაზე გზების მშენებლობის წლიური გეგმა. ამ მიზნით დახარჯულია 1.200 ათასი მანეთი.

მნიშვნელოვანი თანხებია გადადებული საბინაო მშენებლობისათვის. წელს აიგო საერთო საცხოვრებელი 80 კაცისათვის და 12-ბინიანი სახლი მირზაანში, ორი ექვსბინიანი სახლი ნორიოში და ორი ასეთივე სახლი სუფსაში. გარდა ამისა, სუფსაში შენდება 3 თერამეტბინიანი სახლი, ნორიოში—16 ბინიანი ორსართულიანი სახლი და საერთო საცხოვრებელი 160 კაცისათვის, მირზაანში — ორი საცხოვრებელი სახლი, პატარა შირაქში—ერთი სახლი. (საქდესი).

ექსპერიმენტული ოფთალმოლოგიის ინსტიტუტში

ოდესა, 23 სექტემბერი (საკდესი). უკრაინის ექსპერიმენტული ოფთალმოლოგიის ინსტიტუტში, რომელსაც ორდენოსანი აკადემიკოსი ვ. პ. ფილატოვი მეთაურობს, თვალის დაავადებათა მკურნალობის პრობლემებთან ერთად ამუშავებენ კიბოს საწინააღმდეგო ბრძოლის საკითხებსაც.

ამ წლის დასაწყისში დოცენტმა გლეიბერმანმა გამოარკვია, რომ თვალის წინა კამერის სითხეს აქვს კიბოს უჯრედის გახსნის უნარი. შემდგომმა ცდებმა დაადასტურა, რომ ორგანიზმში ამ სითხის პირობითი რაოდენობის (2-3 კუბური სანტიმეტრის) შეყვანა მკვეთრად ადიდებს ადამიანისა და ცხოველის სისხლის შრატის უნარს გახსნას კიბოს უჯრედები. ეს საშუალებას იძლევა თვალის წინა კამერის სითხე გამოვიყენოთ როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება კიბოს დაავადების წინააღმდეგ.

კიბოთი დაავადებულთა მკურნალობის ახალი მეთოდის შესახებ მოხსენება ამას წინათ მოისმინა და მოიწონა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური სექციის პლენარულმა სხდომამ. ამჟამად ინსტიტუტში ამზადებენ კიბოს უჯრედების გამხსნელ ძვირფას სითხეს. ამ სითხეს ხარის თვალიდან მიიღებენ.

დამთავრდა ძერჟინსკის სახელობის არხის მშენებლობა

მახაჩ - ყალა, (საკდესი). ვადაზე 10 დღით ადრე დამთავრდა ძერჟინსკის სახელობის არხის მშენებლობა. არხი, რომელიც სათავეს თერგთან იღებს, გაფართოებულია 77 კილომეტრზე და გაგრძელებულია 16 კილომეტრზე აგრახანის ყურემდე. 20 დღის განმავლობაში ამოღებულია 1.145 ათასი კუბმეტრი გრუნტი. მშენებლობაში მონაწილეობა მიიღო მრავალეროვანი დაღისტნის 13 ათასმა კოლმეურნემ. მძური თანამეგობრობით მუშაობდნენ და სტახანოვური შრომის ჩინებულ მაგალითებს იძლეოდნენ ავარელები, ლეკები, კუმიკები, ლაკები, დარგოელები. ასობით კოლმეურნეები სამ-ხუთ ნორმას და კიდევ მეტს ასრულებდნენ. მშენებლობის 637 მონაწილე დაჯილდოებულია დაღისტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

ძერჟინსკის სახელობის არხი მორწყავს 46.600 ჰექტარ მიწას. კუმიკის დაგვალული ველი ნაყოფიერ ყანებად, ბამბისა და ბრინჯის პლანტაციებად, ბაღებად და ვენახებად იქცევა. ტენს მიიღებს მთიანი რაიონების მეცხოველეობის კოლმეურნეობათა 55 ათასი ჰექტარი საბალახო. ეს საშუალებას მისცემს 1200 მეურნეობას მთებიდან გადმოსახლდნენ.

დღეს მშენებლები აულებში ბრუნდებიან. მათ იკისრეს შეძენილი გამოცდილება გამოიყენონ მთის გზების მშენებლობაში.

უცოდინარობის ლიკვიდაცია მოლდავეთის სს რესპუბლიკაში

კიშინიოვი, (საკდესი). ამას წინათ დამთავრდა მოსახლეობის აღწერა ბესარაბიის ტერიტორიაზე, რამაც გამოარკვია, რომ იქ იყო 533.290 უცოდინარი ან მცირემცოდნე 18-50 წლის ასაკისა. მოლდავეთის სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა დიდი მუშაობა გაჩაღა მცირემცოდნეთა და უცოდინართა სკოლების მოსაწყობად. 15 ასეთი სკოლა უკვე მოწყობილია გრანჩესტაში, ორგეევში, სოროკში და რესპუბლიკის სხვა სოფლებსა და ქალაქებში. გარდა ამისა, კიშინიოვში გაიხსნა 5 არასრული საშუალო და ერთი საშუალო სკოლა მოზრდილთათვის. საწარმოებში უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო წრეებში მეცადინეობს 940 კაცი.

ლიტვის სსრ დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმება

ამხანაგ სტალინისადმი

მოსკოვი, კრემლი. იოსებ ბესარიონის ძე სტალინს

ლიტვის დედაქალაქში — ვილნიუსში გმირული წითელი არმიის შემოსვლისა და პოლონეთის პანების უღლისაგან მისი განთავისუფლების წლისთავის გამო საბჭოთა ლიტვის ხალხი მხურვალე სალამსა და უღრმეს მადლობას გითვლის თქვენ.

ვილნიუსის განთავისუფლებით აღდგენილ იქნა ფეხქვეშ გათელილი სამართლიანობა. პლუტოკრატიის ბატონობისაგან ლიტვის განთავისუფლებამ და სსრ კავშირის ხალხთა მძლავრ ოჯახში ლიტვის სს რესპუბლიკის შესვლამ მოგვცა ვილნიუსის საკითხის ერთადერთი სწორი გადაჭრა. ახლა ლიტვის განთავისუფლებულ ხალხს საშუალება აქვს გაბედულად, აშკარად, სულითა და გულით გამოსთქვას თავისი მადლობა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის — ამხანაგ სტალინისადმი მის მიერ შთაგონებული პოლიტიკისათვის, რომლის შედეგად ლიტველმა ხალხმა არათუ მოიპოვა თავისი ძველი დედაქალაქი, არამედ აგრეთვე მიიღო შესაძლებლობა დამშვიდებული შემოქმედებითი შრომისა ჩვენი თვალუწვდენი თავისუფალი სოციალისტური სამშობლოს — დიადი საბჭოთა კავშირის ასაყვავებლად და განსამტკიცებლად.

ლიტვის სსრ დროებითი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

მჭიდრო საქმიანი კავშირი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი 26-29 სექტემბერს თავის პირველ გამსვლელ სესიას აწყობს ქალ. სოხუმში, სადაც არსებობს ფილიალის ერთერთი ინსტიტუტი — აფხაზეთის აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტი.

ეს ინსტიტუტი ფილიალის სისტემაში შედის 1935 წლიდან. ამ დროიდან მნიშვნელოვნად განმტკიცდა მჭიდრო კავშირი თბილისისა და აფხაზეთის მეცნიერ მუშაკთა შორის. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ კავშირის შემდგომ გაფართოებას, რომელიც ერთნაირად არის საჭირო როგორც აფხაზეთის, ისე თბილისის მუშაკებისათვის.

აფხაზეთის აკადემიკოს ნ. ი. მარის სახ. სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის თემატიკური გეგმა ორგანიულად არის დაკავშირებული მთლიანად ფილიალისა და აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეგმასთან.

აფხაზეთის მეცნიერ მუშაკთა კადრები სწრაფად იზრდებიან. ფილიალის დაწესებულებები ცდილობენ ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ ზრდას. კერძოდ, თბილისში, ფილიალის დაწესებულებებში აფხაზეთიდან ჩამოსული რამდენიმე ასპირანტი სწავლობს; მათი მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ფილიალი ყოველ ღონეს მიჰმართავს, რათა გადიდდეს ასპირანტთა რიცხვი.

ფილიალის გამსვლელი სესიის მოწყობა სოხუმში მნიშვნელოვანი სტიმული იქნება თბილისისა და აფხაზეთის მეცნიერ მუშაკთა შორის საქმიანი კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის და ხელს შეუწყობს მრავალი უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრას, რომლებიც გაერთიანებული ძალებით მუშავდება. ეს პრობლემებია: აფხაზი და ქართველი ხალხის ენისა და ისტორიის პრობლემა, აფხაზეთის საწარმოო ძალების გამოყენების პრობლემა, აფხაზეთის სკოლებისათვის სრულფასოვანი სახელმძღვანელოების გამოცემის პრობლემა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გამსვლელ სესიას და განზრახული აქვს სისტემატურად მოაწყოს ასეთი სესიები განსაზღვრული გეგმით.

აკადემიკოსი
ნ. ი. მუსხელიშვილი
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარე.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მოსკოვი, (ჩვენი საკ. კორ.). უკანასკნელ დღეებში მევენახეობა-მეღვინეობის პავილიონში მრავალი მნახველი მოდის. პავილიონის სტენდები მორთულია ახალი მოსავლის ყურძნის მწიფე მტევნებით, რომელიც ჩამოტანილია საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ყირიმიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან. ყურძნის სიუხვე, ჯიშების მრავალფეროვნება პავილიონში მრავალ მნახველს იზიდავს. პავილიონში ეწყობა სხვადასხვა რაიონების მევენახეთა შეხვედრები.

გუშინ საქართველოს მევენახეობისადმი მიძღვნილ ორ სტენდთან მოხდა ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეთა შეხვედრა აზერბაიჯანის სსრ ლენქორანის რაიონის კოლმეურნეებთან, ამ სტენდებზე ასახულია ზესტაფონის რაიონის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის და თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავის“ მუშაობა. 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობა მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ დაჯილდოებულია მეორე ხარისხის დიპლომით. 1937 წელს მან ჰექტარზე აიღო 57 ცენტნერი, 1938 წელს—84, ხოლო 1939 წელს—116 ცენტნერი ყურძენი. ფოტოსურათები გვაცნობენ კოლმეურნეობაში მუშაობის სხვადასხვა მომენტებს, გვიჩვენებენ ახალ მშენებლობას — სათბურის ნამყენების სტრატიფიკაციისათვის, ახალ საავადმყოფოს.

როგორც ციფრები გვიჩვენებენ, კოლმეურნეობა „მოწინავეში“ ყურძნის მოსავალი წლითიწლობით იზრდება. 1937 წელს აქ მიიღეს 41 ცენტნერი, ხოლო 1939 წელს—96 ცენტნერი ყურძენი. სტენდზე მოთავსებულია კოლმეურნეობის საუკეთესო სტახანოველის, ბრიგადირ მ. ქასრელიშვილის სურათი. ყურადღებას იქცევენ კოლმეურნეობის ახალი სახლების ფოტოსურათები.

საკდესი უარჰყოფს

პრეს ტელეგრაფის სააგენტო ბელგრადიდან ავრცელებს ცნობას, თითქოს საბჭოთა კავშირი ცდილობს, რათა თურქეთს საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი სარაჯოღლუ შეაცვლევინოს სხვა პირით.

საკდესს დავალებული აქვს უარჰყოს ეს ცნობა, როგორც უცნაური და ფანტასტიკური, რომელიც შეუთავსებელია სსრ კავშირის პოლიტიკასთან სხვა ქვეყნების სახელმწიფო, და, მით უმეტეს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 24 სექტემბერი. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ გუშინ სამხრეთ ინგლისში საზვერავი ფრენის დროს გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა უმნიშვნელოვანეს სამხედრო ობიექტებს. ღამით გრძელდებოდა თავდასხმა ლონდონზე და ინგლისის სხვა სამხედრო ობიექტებზე. მილოულის დოკებს და ვესტენდის დოკებს ხანძარი გაუჩნდა. ლივერპულშიც რამდენიმე ადგილას გაჩნდა ხანძარი. ინგლისის ავიაციის მიერ გერმანიის ძველი საუნივერსიტეტო ქალაქის ჰაიდელბერგის ბომბარდირების საპასუხოდ გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა კემბრიჯს. 23 სექტემბერს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ჩრდილოეთ გერმანიის ზოგიერთ პუნქტზე. მთავარი იერიში მიმართული იყო ბერლინის წინააღმდეგ. ბომბარდირების შედეგად დანგრეულია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. მოსახლეობაში არიან მოკლულნი და დაჭრილნი. სამხედრო ობიექტები არ დაზიანებულა. მტერმა გუშინ დაჰკარგა 25 თვითმფრინავი. გერმანიის 6 თვითმფრინავი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 24 სექტემბერი. ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ დღის, ღამით, გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ლონდონსა და სამხრეთ - აღმოსავლეთ ინგლისის ზოგიერთ პუნქტს. დაზიანებულია სახლები და სამრეწველო საწარმოები. მსხვერპლი ბევრია.

ლონდონი, 24 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 23 სექტემბერს ბრძოლის დროს ინგლისის ავიაციამ დაჰკარგა 11 ავიაგამანადგურებელი. ავიაგამანადგურებელთა ეკიპაჟებიდან 7 მფრინავი გადარჩა. გერმანიის ავიაციამ სულ ცოტა 11 თვითმფრინავი დაჰკარგა.

ლონდონი, 24 სექტემბერი. ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებმა 22 სექტემბერს, ღამით, და გუშინ, დილით, ყუმბარა დაუშინეს ალუმინის ქარხნებს დრეზდენის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით და ამ რაიონში მდებარე რკინიგზის ხაზებს. რამდენიმე ყუმბარა საქონლის მატარებელს მოხვდა. ფლისინგენის, ანტვერპენის, დიუნკერკის, ოსტენდის, ზეებრიუგის, კალეს, ჰავრისა და ბრესტის რაიონში მოხდა დოკებზე, ნავთსაყუდელებსა და გემებზე თავდასხმა. (საკდესი).

ინგლის-იტალიის ომი

რომი, 24 სექტემბერი. იტალიის სარდლობა იუწყება, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში იტალიის თვითმფრინავები კვლავ წარმატებით დაესხნენ თავს მერსა-მატრუხის გამაგრებულ ბანაკს.

აღმოსავლეთ აფრიკაში იტალიის მზვერავი პატრულები წააწყდნენ მოწინააღმდეგის ჯგუფებს ტოდინიაკსა და ლიუანში (რუდოლფის ტბის რაიონი) და აიძულეს ისინი უკან დაეხიათ. ერთერთმა საჰაერო შენაერთმა ყუმბარა დაუშინა პორტ-სუდანის აეროდრომს. აეროდრომზე სერიოზულად დაზიანებულია მტრის 10 თვითმფრინავი. მეორე შენაერთმა ყუმბარა დაუშინა ადენის აეროდრომს.

მოწინააღმდეგემ განაახლა საჰაერო თავდასხმა გურაზე, ადი-უგრიზე, შაშამანსა და დირედაუაზე. არის ერთი დაჭრილი, მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა.

ლონდონი, 24 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს ოფიციალურ კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ დასავლეთ უდაბნოში მდგომარეობა უცვლელია. მტრის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა მერსა-მატრუხს, რომელსაც უმნიშვნელო ზარალი მიაყენა. ინგლისის ავიაცია თავს დაესხა ბენგაზის (ლიბია) ნავსაყუდელს. ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა მოტოტრანსპორტის ჯგუფს სიდი-ბარანში. 22 სექტემბერს მტერი თავს დაესხა მალტას. ერთერთ სოფელში დანგრეულია ათი სახლი. აღმოსავლეთ აფრიკაში ინგლისის ავიაცია თავს დაესხა მაი-ადაგასა და გურის აეროდრომს. სამხრეთ აფრიკის საჰაერო ძალებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარა ელ-კატულასა და დიმოს. მტერი ორჯერ თავს დაესხა ადენს, მაგრამ ზარალი არ მიუყენებია. კუნძულ კვიპროსის ჯარის სარდლობის შტაბის კომუნიკეში პირველად არის აღნიშნული იტალიის ავიაციის თავდასხმა კუნძულზე. 22 სექტემბერს, დილით, მტრის თვითმფრინავებმა დიდი სიმაღლიდან ყუმბარა დაუშინეს ქალაქ მორფუს და მის გარშემო მდებარე რაიონებს. მსხვერპლი არ არის. (საკდესი).

შეტაკება საფრანგეთის ინდო-ჩინეთში

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის ჯარმა გუშინ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის საზღვარზე იერიში მიიტანა ლანსონზე. იაპონიის ყუმბარშმენები ორჯერ თავს დაესხნენ ლანსონს. იაპონიის ჯარსა და გარნიზონს შორის საარტილერიო სროლა გაიმართა. საფრანგეთის ჯარი გავიდა ლონდანიდან (ლუნჯოუს სამხრეთით), სადაც გუშინ შეტაკება მოხდა იაპონიის ჯართან. საზღვრიდან ხანოიში მივიდა მატარებელი, რომელმაც 100 დაჭრილი მიიყვანა.

ფრანგულ წრეებში ამტკიცებენ, რომ პასუხისმგებლობა შეტაკებისათვის იაპონელებს ეკისრებათ, რადგან შეთანხმება არ ითვალისწინებდა იაპონიის იმ არმიის შესვლას საფრანგეთის ინდო-ჩინეთში, რომელიც კანტონის რაიონში მოქმედებს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ბრძოლა საფრანგეთისა და იაპონიის ჯარებს შორის ინდო-ჩინეთის ჩრდილოეთით გუშინ ღამის 3 საათამდე გაგრძელდა გრინვიჩის დროით.

იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ფრანგებმა ლანსონის რაიონში იაპონიის ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

პროტესტი ჩინეთის ელჩისა ვიშში

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის ელჩმა ვიშში სიტყვიერი პროტესტი განაცხადა საფრანგეთ-იაპონიის შეთანხების წინააღმდეგ, რომელსაც ხელი მოაწერეს ხანოიში. ელჩმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს განუცხადა, რომ ჩინეთი იტოვებს მოქმედების თავისუფლებას. ელჩმა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა: ჩინეთის მთავრობას მიაჩნია, რომ მას უფლება აქვს მიმართოს ყოველგვარ თავდაცვითს ღონისძიებას და ჩინეთის ჯარიც კი გაგზავნოს საფრანგეთის ინდო-ჩინეთში.

საფრანგეთის კომუნიკე

კლერმონ-ფერანი, 24 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია: „ყოფილი გენერალი დე გოლი მიადგა დაკარს ინგლისის ესკადრით, რომელსაც ჯარი გადაჰყავს, და წინადადება მისცა ქალაქი ჩამაბარეთო. საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარჰყვეს ულტიმატუმი და ინგლისის ესკადრამ სროლა აუტეხა დაკარს.“ შემდეგ კომუნიკეში გადაჭრით დაგმობილია გენერალ დე გოლის მოქმედება.

საფრანგეთის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს გიბრალტარს

ბერლინი, 24 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება რომ გუშინ საფრანგეთის 120 თვითმფრინავმა, რომლებიც მაროკოდან გაფრინდნენ, ყუმბარა დაუშინეს გიბრალტარს ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ დაკარის ბომბარდირების პასუხად. ამჟამად ვიშში ვერ გამოარკვიეს — გადასხეს თუ არა ინგლისელებმა დესანტი დაკარში. ვიშში ფიქრობენ, რომ ინგლისს განზრახული აქვს სერიოზული მოქმედება დაიწყოს საფრანგეთის აფრიკის კოლონიების წინააღმდეგ.

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ავიაციის მოქმედება

ბერლინი, 23 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ მიღებული ცნობების თანახმად, 10 აგვისტოდან მოკიდებული გერმანიის ავიაციამ ინგლისის სამხედრო ობიექტებს 23 მილიონი კილოგრამი სხვადასხვა ყალიბის ყუმბარები დააყარა. წარსული 6 კვირის განმავლობაში გერმანიის ავიაციამ ძლიერი იერიში მიიტანა ინგლისის უმნიშვნელოვანეს ნავსადგურებზე, დაახლოებით 200 თავდასხმა მოაწყო და დააყარა 8 მილიონი კილოგრამი ფეთქებადი ნივთიერება. იმავე ხნის განმავლობაში 700-ჯერ დაესხნენ თავს სამხრეთ და შუა ინგლისის აეროდრომებსა და სამრეწველო ობიექტებს, მათ შორის ლონდონს, ამასთან ჩამოჰყარეს 15 მილიონი კილოგრამი ყუმბარები. დაზიანებული ან დანგრეულია 6 ათასი სამრეწველო ობიექტი, მათ შორის 1.400 სამრეწველო საწარმო მარტო ლონდონში. ინგლისის ქალაქებში განადგურებულია გაზისა და ელექტროქსელის 20 პროცენტი. გაზის ქარხნებისა და ელექტროსადგურთა ნაწილი მრავალი თვით არის გამოყვანილი მწყობრიდან. დანგრეულია უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო კვანძები. რამდენიმე ასეული კილომეტრი რკინიგზა გაფუჭებულია. მარტო ლონდონში დანგრეულია 4 ვაგზალი და მეტროს 3 უმნიშვნელოვანესი უბანი. ინგლისის ნავსადგურებში არსებული პურის ბეღლებისათვის, სილოსის კოშკებისათვის და წისქვილებისათვის ხანძრით მიყენებული ზარალი 1,5 მილიარდ მარკას უდრის.

ბერლინი, 23 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დღეს გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სამხედრო და სხვა მნიშვნელოვან ნაგებობებს სამხრეთ ინგლისში. სასტიკი საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია ინგლისის 17 თვითმფრინავი; გერმანიის 4 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 23 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: 22 სექტემბერს ღამით ინგლისის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ გერმანიის ბაზებს საფრანგეთსა და ბელგიაში, აგრეთვე მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს გერმანიაში.

გერმანია უარყოფს

ბერლინი, 23 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო უარჰყოფს ინგლისის ცნობას, ვითომც გერმანიის წყალქვეშა ნავს ნაღმი ესროლოს ინგლისის უსახელო გემისათვის, რომელშიც მრავალი ევაკუირებული ბავში იმყოფებოდა.

„უპირველეს ყოვლისა, თვალში გვცემა,—სწერს სააგენტო,—რომ ინგლისელებმა დღემდე ვერ დაასახელეს ჩაძირული გემი და კაპიტნის გვარი, თუმცა ჩაძირვა თითქოს ექვსი დღის წინათ მოხდა. სხვა მხრივ აქ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ პასუხისმგებლობა ადამიანთა მსხვერპლისათვის ისეთ შემთხვევაში, როგორსაც ინგლისელები ახლა იუწყებიან, მხოლოდდამხოლოდ ინგლისის მთავრობას დაეკისრება, რადგან გერმანიამ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე დაამთავროს მისთვის თავსმოხვეული ომი, ინგლისის მთელი სანაპიროს ბლოკირება გამოაცხადა".

მალტის ბომბარდირება

ბერლინი, 23 სექტემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო, სტეფანის სააგენტოს ცნობას ემყარება და იუწყება, რომ 22 სექტემბერს იტალიის მოპიკირე ყუმბარმშენებმა განსაკუთრებული სიძლიერით დაუშინეს ყუმბარები მიკაბის აეროდრომის ნაგებობებს მალტის კუნძულზე. მსხვილი ყალიბის ყუმბარები მოხვდა მოტორის სარემონტო სახელოსნოს, მიწისქვეშა საწყობებსა და ანგარს. გაჩნდა ძლიერი ხანძარი, რომელიც 50 კილომეტრ მანძილზე მოსჩანდა. იტალიის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა.

დაკარის ბომბარდირება ინგლისის ფლოტის მიერ

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი (საქდესი). ასოშიეიტიდ პრესის სააგენტო იუწყება: ვიშში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ინგლისის ფლოტმა ყუმბარები დაუშინა დაკარს (დასავლეთი აფრიკა).

ინგლისური პრესა ინგლის-ამერიკის მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 23 სექტემბერი (საქდესი). ინგლისის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს ინგლის-ამერიკის მოლაპარაკებას, რომელიც ვაშინგტონში მიმდინარეობს. გაზეთ „სანდეი ტაიმსის" კარგად ინფორმირებული დიპლომატიური მიმომხილველი აცხადებს, ეს მოლაპარაკება მრავალ საკითხს შეეხება. მოლაპარაკებაში ავსტრალიის ვაშინგტონელი დესპანის მონაწილეობა იმას მოწმობს, რომ ამ მოლაპარაკებაში პირველი ადგილი წყნარი ოკეანის საკითხებს უკავია. როგორც ვიცით, ავსტრალიამ ამ რამდენიმე თვის წინათ სცადა „დაეშოშმინებინა" იაპონია და ამ მიზნით მხარი დაუჭირა ბირმა-ჩინეთის გზის დახურვას. ამჟამად ავსტრალიაში უფრო და უფრო იკიდებს ფეხს იმის რწმენა, რომ ეს პოლიტიკა სასურველ ნაყოფს არ იძლევა.

როგორც დიპლომატიურ წრეებში აცხადებენ, მოლაპარაკების საგანია აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სინგაპურში ბაზის იჯარით აღების უფლება მიენიჭოთ. აგრეთვე შესაძლოდ მიაჩნიათ, რომ ვაშინგტონში იხილავენ საკითხს ამერიკელებისათვის ჩრდილოეთ ავსტრალიაში ბაზების მიცემის შესახებ.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომუნიკე

კლერმონ-ფერანი, 23 სექტემბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტო აქვეყნებს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია: ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში, ტოკიოში, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ მაცუოკასა და საფრანგეთის ელჩ ანრის შორის მოლაპარაკება სწარმოებდა საფრანგეთის ინდო-ჩინეთის შესახებ ძირითად საკითხებზე. საფრანგეთის მთავრობა, — ნათქვამია კომუნიკეში, — დასთანხმდა იაპონიის მთავრობას სპეციალური შეღავათიანი პირობები მისცეს ინდო-ჩინეთში იაპონიის არმიისა და ფლოტის ოპერაციებისათვის. სამხედრო ხასიათის ამ შეღავათიანი პირობების დეტალური განსაზღვრისათვის ხანოიში მოლაპარაკება გაიმართა საფრანგეთისა და იაპონიის სამხედრო ხელისუფალთა შორის. 22 სექტემბერს ეს მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრდა.

ამერიკის შეერთებული შტატები და არგენტინა

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი (საქდესი). ასოშიეიტიდ პრესის სააგენტო ბუენოს-აირესიდან იუწყება: საფინანსო ექსპერტები ფიქრობენ, რომ არგენტინა სერიოზული კრიზისის წინაშე იმყოფება ევროპის ბაზრების დაკარგვის გამო. ომის დაწყებიდან არგენტინამ დაჰკარგა ბაზრები, რომლებზედაც მოდიოდა სიმინდის ექსპორტის 62 პროცენტი, ხორცის ექსპორტის 11 პროცენტი, ხორბლის—25 პროცენტი, სელის თესლის—65 პროცენტი, მატყლის—51 პროცენტი და ტყავეულობის 61 პროცენტი.

ცნობები გერმანიის მოსახლეობის შესახებ

ბერლინი, 22 სექტემბერი (საქდესი). ჟურნალი „ვირტშაფტ-უნდ სტატისტიკ" იუწყება, რომ, 1939 წლის 17 მაისს ჩატარებული აღწერის მიხედვით, საკუთრივ გერმანიაში 79.375.281 მცხოვრებია. ავსტრიასთან, სუდეტის ოლქთან, დანცინგთან, ეიპენ-მალმედისა და მემელთან ერთად გერმანიის მოსახლეობა 89.634.000 კაცს შეადგენს, თუ ამას დავუმატებთ ჩეხია და მორავიის პროტექტორატს, გერმანიის მოსახლეობა შეადგენს 97 მილიონ კაცს. საგენერალ-გუბერნატოროს მოსახლეობასთან ერთად (ყოფილი პოლონეთის ოლქები, რომლებიც დაკავებულია გერმანიის მიერ), გერმანიის მოსახლეობა 107 მილიონ კაცს შეადგენს.

ჟურნალი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის შემდეგ გერმანია, მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, ევროპის უდიდესი სახელმწიფოა. ინგლისს, ჩრდილოეთ ირლანდიასთან ერთად, ჰყავს დაახლოებით 47,5 მილიონი მცხოვრები, იტალიას—44,4 მილიონი, საფრანგეთს—42 მილიონი და ესპანეთს—25 მილიონი.

ინგლისური პრესა ეგვიპტეში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 23 სექტემბერი (საქდესი). გაზეთ „სანდეი ტაიმსის" დიპლომატიური მიმომხილველი სწერს: ეგვიპტეს ჯერ კიდევ არ გამოუცხადებია ომი იტალიისათვის, იმის მიუხედავად, რომ იქ იტალიის არმია შეიჭრა. თუმცა, — აღნიშნავს მიმომხილველი, — ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების პირობები არც ავალდებულებს ეგვიპტეს ომი გამოუცხადოს იტალიას ახლანდელ ვითარებაში. ეგვიპტემ მხოლოდ გარკვეული ხელსაყრელი პირობები უნდა უზრუნველჰყოს ინგლისის შეიარაღებული ძალებისათვის. ამის მიუხედავად, უახლოეს ხანში შეიძლება მოველოდეთ, რომ ეგვიპტის მთავრობა უფრო ზუსტად გამოარკვევს თავის პოზიციას.

მშრომელთა გაჭირვებული მდგომარეობა ფინეთში

ჰელსინკი, 22 სექტემბერი (საქდესი). გაზეთი „კარიალა" სწერს: „შემოდგომა დადგა, ზამთარი გვიახლოვდება. ეს გარემოება ძალიან აფიქრებს კარელებს, რადგან მათ მკაცრი ზამთარი მოელით. მომავალი ზამთარი, შესაძლოა, შარშანდელსავით მძიმე ან უფრო ძნელიც გამოდგეს მათთვის.

კვლავ შეშფოთებამ შესცვალა სიმშვიდე, რომელიც სასწრაფო დასახლებისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ კანონის გამოცემის შემდეგ ჩამოვარდა. ჩვენ კვლავ ისეთსავე მდგომარეობაში ვართ, როგორშიც გაზაფხულზე ვიყავით, —განაგრძობს გაზეთი,—როდესაც სეიმსა და მთავრობაში მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რომ კარელების ბედ-იღბლის შესახებ კამათობდნენ. ყოველ შემთხვევაში, კარელების ბინების მდგომარეობა მეტად სავალალოა. ისინი კვლავ ვიწრო და ბნელ ოთახებში ცხოვრობენ, რისთვისაც უზომოდ დიდ ქირას იხდევინებენ. კარელები სხვენებზე და რაღაც გალიებსა და სენაკებში ცხოვრობენ მაშინ, როდესაც ამავე რაიონში მრავალი შენობა სრულიად ცარიელია.

ჰელსინკი, 22 სექტემბერი (საქდესი). გაზეთმა „კარიალამ" დაბეჭდა ერთი გადასახლებულის წერილი. იგი იუწყება, რომ გადასახლებულთა მდგომარეობა გაუარესდა, რადგან ყოველდღიური დახმარება მათ 12-დან 10 მარკამდე შეუმცირეს. ავტორი იუწყება აგრეთვე, რომ განსაკუთრებით გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ფინეთის ჩრდილოეთ რაიონების გადასახლებულნი, სადაც მათ ხშირად გომურებში უხდებათ ცხოვრება, თანაც არ გააჩნიათ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ოპოზიციას სდევნიან

ჰელსინკი, 22 სექტემბერი (საქდესი). ფინეთის სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ კვლავ გაჩაღა კამპანია მემარცხენე ოპოზიციის წინააღმდეგ. გაზეთმა „კანსან ლეხტიმ" დაბეჭდა სტატია, რომლის სათაურია: „გამხრწნელი მოღვაწეობა უნდა მოუსპოთ და დისციპლინა უნდა დავამყაროთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში".

გაზეთი აღიარებს, რომ მემარცხენე ოპოზიცია გავლენით სარგებლობს ძირეულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებსა და მუშებში და მოითხოვს ლიკვიდირებულ იქნას ეს პარტიის გამხრწნელი „საეჭვო ელემენტების ხროვა".

პარლამენტის არჩევნები ავსტრალიაში

ლონდონი, 23 სექტემბერი (საქდესი). 21 სექტემბერს ავსტრალიაში მოხდა პარლამენტის ორივე პალატის — წარმომადგენელთა პალატისა და სენატის საყოველთაო არჩევნები.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, წარმომადგენელთა პალატის 74 ადგილზე დასახელებული იყო 273 კანდიდატი, სენატის 36 ადგილზე კი — 65 კანდიდატი.

უკანასკნელი ცნობებით, არჩევნების შედეგად წარმომადგენელთა პალატის ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: ავსტრალიის გაერთიანებულმა პარტიამ (მთავრობისამ) მიიღო 25 ადგილი, ფერმერთა პარტიამ—(მთავრობისამ)—14 ადგილი, ლეიბორისტებმა—34 ადგილი. გარდა ამისა არჩეულია 1 დამოუკიდებელი დეპუტატი. სენატის ახალ შემადგენლობაში ავსტრალიის გაერთიანებულ პარტიას აქვს 16 ადგილი, ფერმერთა პარტიას 3 ადგილი და ლეიბორისტულ პარტიას—17 ადგილი.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ომის განმავლობაში ავსტრალიის ამ პირველმა საყოველთაო საპარლამენტო არჩევნებმა ცხადჰყვეს, რომ მთავრობის უმრავლესობამ ადგილების ნაწილი დაჰკარგა.

○

ავსტრალიაში აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ ის პირნი, რომელთაც 21 წელი შეუსრულდათ, მაგრამ საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან ავსტრალიის მკვიდრნი და აზიისა და აფრიკის მკვიდრნი, რომლებიც ავსტრალიაში გადასახლდნენ. პარლამენტში (წარმომადგენელთა პალატასა და სენატში) არჩევის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ ის პირნი, რომლებიც ბრიტანეთის ქვეშევრდომი არიან 5 წლის განმავლობაში მაინც.

ეგვიპტის პოზიცია

ლონდონი, 23 სექტემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო შემდეგს ცნობას გადმოგვცემს კაიროდან: „გუშინ ეგვიპტის მთავრობის წრეების წარმომადგენელმა განაცხადა: ახალი კაბინეტის პოლიტიკა „ფრთხილ მოლოდინში" მდგომარეობს, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ ეგვიპტე უარს იტყვის ბრძოლაზე, თუ მასზე სერიოზულ თავდასხმას მოაწყობენო.

საქმე ის არის, რომ კაბინეტი ეწინააღმდეგება ნაჩქარევ გადაწყვეტილებას, რასაც ახლანდელი ვითარება არ მოითხოვს. თუ იტალიის შესვლა შესივს პირდაპირ საფრთხედ გადაიქცევა, მაშინ ეგვიპტე იბრძოლებს".

ეგვიპტეში სამხედრო წესები გამოცხადდა

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი (საქდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა ჰასან საბრიმ გამოაცხადა, რომ ეგვიპტეში შემოღებულია სამხედრო წესები.

როგორც იუწყებიან, ეს ღონისძიება წარმოადგენს მხოლოდ „სიფრთხილის ზომას, რაც კაბინეტს აძლევს მაქსიმუმ რწმუნებულებებს რაიმე გართულების შემთხვევაში".

დღეს მუშაობას იწყებს აგარის შაქრის ქარხანა

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ზოტოვის ბრძანების თანახმად დღეს, 25 სექტემბერს, მუშაობას იწყებს აგარის **ლ. პ. ბერიას** სახელობის შაქრის ქარხანა.

შაქრის ჭარხლის გადამუშავების სეზონის დაწყებამდე ქარხანაში მიმდინარეობდა კაპიტალური რემონტი, რაც კარგად იქნა შეფასებული სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატების მიმღები კომისიის მიერ.

20 სექტემბრისათვის ქარხანა მზად იყო შაქრის ჭარხლის მისაღებად. ამავე რიცხვიდან დაიწყო ჭარხლის ამოღება და ქარხნამდე მიტანა. შაქრის ჭარხლის მოსავალი წელს 1 მილიონ ცენტნერს გადააჭარბებს. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს საქართველოში ჭარხალს დიდი შაქრიანობა ახასიათებს. იგი 20 პროცენტით აღემატება გასული წლის შაქრიანობას. მიმდინარე საწარმოო წელს ქარხანა შაქრის ჭარხალს დამატებით მიიღებს სომხეთის სსრ შაქრის ჭარხლის ბაზებიდან.

ქარხნის კოლექტივი ვალდებულებას იღებს გადაჭარბებით შეასრულოს საწარმოო პროგრამა, ქვეყანას მისცეს მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ვადამდე შევასრულოთ თამბაქოს შეტეხის გეგმა

სოხუმი, (საქდესი). შესდგა კოლმეურნეობის თავმჯდომარეების საბჭოთა მეურნეობის დირექტორების, აგრონომების და სოხუმის რაიონის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირი, რომელიც თამბაქოს მოსავლის აღების მიმდინარეობის საკითხებს მიეძღვნა.

კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობაში თამბაქოს შეტეხა სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. კოლმეურნეობებმა — „რევოლუციის ნაპერწკალმა", ორჯონიკიძის სახელობისამ, მახარაძის სახელობისამ გეგმა 50 პროცენტზე ნაკლები რაოდენობით შეასრულეს. თათბირზე აღინიშნა კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის შეუწყნარებელი მოდუნების ფაქტები. მეორე ხუთწლედის სახელობის კოლმეურნეობაში, კოლმეურნეობა „რევოლუციის ნაპერწკალში" ზოგიერთი წევრი სისტემატურად არ გამოდის სამუშაოდ. გამგეობანი კი არავითარ ზომებს არ იღებენ სამუშაოს გამცდენთა და ცუღლუტთა მიმართ.

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ბარამიამ კონკრეტული ღონისძიებანი დასახა და მოუწოდა დამსწრეთ გაშალონ ბრძოლა, რათა 1 ოქტომბრისათვის შესრულდეს თამბაქოს მოსავლის აღების გეგმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ჯაში.

კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის" მოწინავე ქალები

ხაშური, (საქდესი). სოფ. ტეზრის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი" ხაშურის რაიონში ერთ-ერთი მოწინავეთაგანია. მან 139 ჰექტარი თავთავიანი კულტურების მოსავალი აიღო და დააბინავა. სიმინდი აღებულია 113 ჰექტარი, აქედან გარჩეულია 40 ჰექტარზე აღებული სიმინდი. ტეზრის კოლმეურნეობამ ყველაზე უწინ შეასრულა თავისი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე.

კოლმეურნეობაში 223 მუშახელიდან 129 ქალია. ქალები მუშაობენ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებაზე, სიმინდის მოჭრა-გარჩევაზე, ვენახის მოვლაზე, შაქრის ჭარხლის პლანტაციებში. ტეზრელი კოლმეურნე-ქალები შრომის ნაყოფიერების სანიმუშო მაგალითებს იძლევიან. იმ დროს, როდესაც საშუალო გამომუშავება 150 შრომადღეს უდრის, კოლმეურნე მუშანა აბრამიშვილს გამომუშავებული აქვს 250 შრომადღე, ხოლო რგოლის ხელმძღვანელებს—მატიკო აბრამიშვილს, მინადორა ბეროზაშვილს, სოფიო ჭადაძეს—160-180 შრომადღე თვითეულს.

რიონი ახალ კალაპოტში

ფოთი, (საქდესი). ძირითადად დამთავრებულია მუშაობა მდინარე რიონის გადასაგდებად ახალ კალაპოტში, რაც 1934 წელს დაიწყო კოლხიდმშენმა. საბჭოთა კოლხიდის ცენტრ—ფოთიდან 7 კილომეტრის დაშორებით რიონი მიმდინარეობს ახალ ხელოვნურად შექმნილ კალაპოტით. ეს კალაპოტი წარმოადგენს 4½ კილომეტრი სიგრძის არხს.

წარსულში რიონი მიდიოდა კოლხიდის დაბლობზე და აჭაობებდა მას განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა მთაში თოვლი და ყინული დნებოდა. კოლხიდის დაშრობამ მოითხოვა დიდი მუშაობის ჩატარება მდინარე რიონის ნაპირების გასამაგრებლად. მდინარის ნაპირების გამაგრებისა და კოლხიდის ტერიტორიაზე რიონის გადავლის შეწყვეტის შემდეგ, წყალი დიდი რაოდენობით გაემართა შესართავისაკენ. გაზაფხულობით, წყალდიდობის დროს ქალაქი ფოთი, რომელსაც რიონი ორ ნაწილად ჰყოფდა, არაერთხელ დაუფარავს წყალს. მდინარე დიდ ზარალს აყენებდა ქალაქს. ახლა კი ფოთი სამუდამოდ დაზღვეულია სტიქიური შემთხვევებისაგან.

ამჟამად ახალი კალაპოტით ზღვაში მიდის რიონის წყლის 85 პროცენტი. დანარჩენი წყალი, რომელსაც დიდძალი ქვიშა და, ლამი მიაქვს, მიედინება ძველი კალაპოტით. სწარმოებს კალაპოტის ხელოვნური მოლამვა (კოლმატაჟი). გავა რამდენიმე წელი და იქ, სადაც რიონი მიმდინარეობდა გაშენდება სუბტროპიკული ბაღები.

თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში დაიწყო თამბაქოს ახალი მოსავლის მიღება. სურათზე: ქარხნის სტახანოველი ამხ. ვარაზაშვილი, რომელიც თამბაქოს გაშრობის ყოველდღიურ დავალებას 120 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

ჭარხლის უდანაკარგოდ აღებას ყურადღება არ ექცევა

(კასპი, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

შაქრის ჭარხლის მიმღები პუნქტიდან 35 კილომეტრი გავიარეთ. უკვე ნიქოზის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობების შაქრის ჭარხლის ფართობებში ვართ. სოფელ ნიქოზის კოლმეურნეები შაქრის ჭარხალს იღებდნენ, ასუფთავებდნენ და მიმღები პუნქტისკენ ჰგზავნიდნენ.

კოლმეურნეობამ პირველ ხუთდღიურში ორ ჰექტარზე უნდა აიღოს შაქრის ჭარხალი. ერთმანეთს ეჯიბრებიან ლ. კუდუხაშვილის, გ. შოთაშვილის და დ. ბედოშვილის საკოლმეურნეო ბრიგადები. წარმატებით მუშაობენ კოლმეურნეები თ. კუდუხაშვილი, ა. ბედოშვილი, ბ. ჩარაშვილი, ა. სალამაშვილი და ო. ბედოშვილი. განსაკუთრებულ წარმატებას იჩენენ ოლია და სონა მუზაშვილები, რომლებმაც ერთ დღეს 14 ცენტნერი შაქრის ჭარხალი გაასუფთავეს, გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერის ნაცვლად. მეჭარხლე კოლმეურნეებს დიდად ახარებთ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი. ნიქოზელი კოლმეურნეები მაღალნაყოფიერად მუშაობენ. ერთ დღეს კასპის მიმღებ პუნქტს 6 ურემი შაქრის ჭარხალი ჩააბარეს.

22 სექტემბერს, ხელსაყრელი ამინდის მიუხედავად, არ იმუშავეს სოფელ ჩაბალაურის, ზემო და ქვემო რენეს კოლმეურნეობებში. აღნიშნულ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და ბრიგადირები ადგილზე არ იყვნენ. ამ კოლმეურნეობათა შაქრის ჭარხლის მინდვრებზე ჭარხლის დანაკარგებს აქვს ადგილი. ქვემო რენეს კოლმეურნეობაში რ. ხოხაშვილის ბრიგადის მიერ აღებულ 300 კვადრატულ მეტრ ფართობზე 60 ძირი შაქრის ჭარხალი მოვაგროვეთ. ამოღებული შაქრის ჭარხალი გაუსუფთავებლად ეყარა მიწაზე. ანტონ მელაძის ბრიგადის შაქრის ჭარხლის ფართობში ახალგაზრდა კოლმეურნე გრიშა მელაძე მარტოდმარტო მუშაობდა. მან შუადღემდე 8 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ამოიღო, ხოლო ნაშუადღევს მუშაობას თავი მიანება.

სოფელ ზემო რენეს კოლმეურნეობის შაქრის ჭარხლის ფართობში წინადღით ამოღებული და გასუფთავებული შაქრის ჭარხალი 7 ადგილას ცისქვეშ ეყარა; არ იყო შაქრის ჭარხლის მცველი.

ჩაბალაურის კოლმეურნეობაში ლ. შიუკაშვილის და ნ. პავლიაშვილის ბრიგადების მიერ 2 დღის წინათ ამოღებული 10 ურემი შაქრის ჭარხალი 22 სექტემბერს საღამოს ისევ მინდორში ეყარა. ასეთი მუშაობით შაქრის ჭარხლის ამოღება-გადაზიდვის ხუთდღიური კალენდარული გეგმა ვერ შესრულდება.

ნუთუ ეს ცნობილი არ არის კასპის მტს-ის დირექციისა და რაიმიწგანისათვის?

ს. ყურაშვილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის

რაციონალურად გამოვიყენოთ ყოველი წუთი, აღვკვეთოთ ზედმეტ საათებში მუშაობა

ყოველთვის ერთი და იგივე ამბავი მეორდება. თვის დასაწყისში საამქროები მოდუნებულად მუშაობენ, დაზგის ნაწილებს არ ამზადებენ, მუშები სცდებიან. თვის მეორე ნახევარში კი იწყება დაძაბული მუშაობა, დაზგები უნდა გამოუშვან, თვიური დავალება შეასრულონ. ახლა უკვე რვა საათის მუშაობა აღარ კმარა.—ზედმეტი საათები უნდა იმუშაონ, რომ ქარხანამ დაზგები გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით გამოუშვას.

ერთი შეხედვით თითქოს აუცილებლობით არის გამოწვეული ზედმეტ საათებში მუშაობა. და მართლაც, წლის პირველ ნახევარში, მარტო მექანიკურ საამქროში ზედმეტად 4137 საათია ნამუშევარი. უკანასკნელად ეს მდგომარეობა აღარ არის. მართალია, მუშაობა შედარებით გაუმჯობესდა (მექანიკურ საამქროში ივლის-აგვისტოში ზედმეტად ნამუშევარია 393 საათი, ამწყობ საამქროში—314 საათი), მაგრამ ჯერ ყველაფერი რიგზე მაინც არ არის. ეს ხდება თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში, რომელსაც ყველა პირობა აქვს სანიმუშოდ, „შტურმოვშჩინის" გარეშე იმუშაოს. ამისათვის, როგორც ამას საქმის მცოდნე ამხანაგები ამბობენ, საჭიროა შრომის კარგი ორგანიზაცია, დისციპლინა, თვის დასაწყისიდანვე თანმიმდევრული, შეუპოვარი მუშაობა და, რაც მთავარია, კვალიფიციური კადრები. თუ ყველაფერი ეს იქნება, მაშინ მინიმუმამდე შემცირდება ზედმეტ საათებში მუშაობა. ეს კი აუცილებლად უნდა იქნეს, რადგან ყველაფერი ქარხნის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული.

ზოგჯერ რა ჰქმნის პირობებს ზედმეტ საათებში მუშაობისათვის? არაკვალიფიციური კადრები. და აი, როგორ: მექანიკურ საამქროში ბევრი არაკვალიფიციური მუშაა. ამის გამო ისინი, გარდა იმისა, რომ დავალებას ვერ ასრულებენ (ხარატმა გ. დობრინსკიმ ივნისში გეგმა შეასრულა 81,5 პროცენტით, ივლისში—66 პროცენტით, აგვისტოში—53 პროცენტით, ასევე ითქმის ჰრანდავ ვ. კონდრატიუკზე), წუნდებულ პროდუქციას უშვებენ, კარგად არა აქვთ ათვისებული ახალი დაზგები. მათ მიერ დამზადებული ნაწილები მიდის ამწყობ საამქროში სწორედ იმ დროს, როდესაც დაზგის გამოშვების ბედი წყდება. იმისათვის, რომ არ დააგვიანდეს დაზგის გამოშვებას, ამწყობი საამქრო იძულებულია თავისი მუშებით გადააკეთოს დაზგის ესა თუ ის დეტალი, იმუშაონ ზედმეტი საათები. შეიძლება თუ არა ეს ავიცილოთ თავიდან? რასაკვირველია, შეიძლება და ამისთვის აუცილებელია მომზადებული ზეინკლები, ხარატები, მრანდავები, მღარავები.

კვალიფიციური მუშების მომზადების საკითხი მთელი სიმკვეთრით და სერიოზულობით უნდა დაისვას, რადგან არაკვალიფიციური მუშა, გარდა იმისა, რომ წუნდებულ პროდუქციას უშვებს და ამით ამუხრუჭებს თავისი ან მეორე საამქროს მუშაობას, აცდენს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილ დაზგას, ვერ ამუშავებს მას სრული ნაყოფიერებით.

არ შეიძლება არაფერი ვთქვათ „ცენტროლიტზე", რადგან იგი ძლიერ აფერხებს ქარხნის ნორმალურ მუშაობას, ზრდის წუნდებული პროდუქციის გამოშვებას. 14 სექტემბერს „ცენტროლიტში" ჩამომსხმელი სახარატო დაზგის 19 ცალ მილისადან („ვტულკა") 11 წუნდებული გამოდგა, ხოლო ხუთი ცალი სადგარიდან („სტანინა" — დაზგის ძირითადი ნაწილი) ხუთივე წუნდებული. ასეთი შემთხვევა კი მარტო ამ დღეს რამდენიმე იყო. მთელი უბედურება იმაშია, რომ წუნი გაჩარხვის შემდეგ გამოირკვევა ხოლმე. სწორედ ამ მიზეზით 11 მილისის გაჩარხვაზე 50 საათი უნაყოფოდ დაიხარჯა, გაცდა ხარატი, გაცდა დაზგა. აგვისტოში მარტო მექანიკურ საამქროს 19812 მანეთის წუნდებული პროდუქცია აქვს გამოშვებული და აქედან 16080 მანეთი „ცენტროლიტზე" მოდის. ამას მეორენაირი ზარალიც მოსდევს. ზოგიერთი ნაწილები თვით საამქროში უნდა გადააკეთონ. ამის გამო აგვისტოში საამქრომ 939 საათი ზედმეტად დაჰკარგა.

ჩვენ ვილაპარაკეთ ზედმეტ საათებში მუშაობაზე, მაგრამ სწორედ იმავე საამქროებში ვხვდებით მეორე, კიდევ უფრო დიდ ბოროტებას, რომელიც, როგორც გაზეთი „პრავდა" სწერს, ამუხრუჭებს სტახანოვურ მუშაობას და დიდი ზიანი მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის —ეს არის მუშების მოცდენა.

იშვიათი როდია შემთხვევა, რომ მუშა თავის დროზე მოდის სამუშაოზე, სურს კეთილსინდისიერად, სტახანოვურად იმუშაოს, მაგრამ დაზგების რემონტით, იარაღის, მასალების, სამუშაოს უქონლობით სცდება, უნაყოფოდ ჰკარგავს სამუშაო დროს.

ის ფაქტი, რომ ქარხანა ივნისში 1990 საათი გაცდა, ივლისში—3101 საათი, ხოლო აგვისტოში—2532 საათი, დადებითად ვერ დაახასიათებს ქარხნის ხელმძღვანელებს. აგვისტოში დაზგების რემონტით გაცდენა შეადგენდა 648 საათს, სამუშაოს უქონლობით—978 საათს, ელექტროენერგიის უქონლობით — 125 საათს, იარაღების უქონლობით —71 საათს და სხვ. ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო დამახასიათებელია მექანიკური საამქრო, აგვისტოში იგი 731 საათი გაცდა, ხოლო სექტემბრის პირველ ნახევარში უკვე მოასწრო 515 საათით მოცდენა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს არის მსხვილი მოცდენები, რომლებიც აღრიცხულია ქარხნის მმართველობის მიერ, მაგრამ ამას თუ დავუმატებთ იმ შედარებით წვრილმან მოცდენებს, რომლებსაც საამქროებში აქვს ადგილი, სურათი კიდევ უფრო მოუთმენელი იქნება.

სტახანოველები სამართლიანად არიან აღშფოთებული მოცდენებით. ისინი ხომ ის ადამიანები არიან, რომლებმაც იციან დროის ფასი, რომლებიც დროს ანგარიშობენ არა მარტო წუთობით, არამედ წამობითაც. ამიტომ ვერ მოითმენენ ისეთ მოვლენას, რომელსაც ზიანი მოაქვს სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებისათვის. ასეთ მდგომარეობას ზღვარი უნდა დაედოს. მოცდენები უნდა შეწყდეს!

მინიმუმამდე შევამციროთ ზედმეტ საათებში მუშაობა, რაციონალურად გამოვიყენოთ სამუშაო დროის ყოველი წუთი, ვიმუშაოთ მაღალნაყოფიერად — აი, რით უნდა იყოს დაინტერესებული სოციალისტური საწარმოს ყოველი ხელმძღვანელი, ყოველი პატიოსანი მშრომელი.

პ. ჭიოკაძე

ჩვენ გვწერენ

როგორ ნიავდება საკოლმეურნეო ქონება

სოფ. სანავარდოს (ყვარლის რაიონი) კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. გიგოლაშვილი და მისი ბიძაშვილი მონგარიშე პ. ყულიჯანაშვილი შეხმატკბილებულად მოქმედებენ და ანიავებენ საკოლმეურნეო ქონებას. მოვიყვანოთ ფაქტები:

გასულ წელს კოლმეურნეობამ გაყიდა ხორბალი 739 მანეთად. ეს თანხა შემოსავალში არ არის გატარებული, ხოლო თავმჯდომარე და მონგარიშე აცხადებენ—ეს ფული კომბაინერების კვებაზე დაიხარჯაო. ამის საბუთი კი არ არსებობს.

გიგოლაშვილმა კოლმეურნეობის საწყობიდან გამგეობის თანხმობის გარეშე 240 მანეთად გაყიდა ორი ვედრო არაყი. ეს ფული თითქოს ტრაქტორისტებზე დაიხარჯა, მაგრამ გასავალი სწორად არ არის გაფორმებული.

გასულ წელს გიგოლაშვილის თაოსნობით კოლმეურნეობამ რამდენიმე ძნა გაულეწა მუკუზნის სადგურის უფროსს. ამაზე შრომადღეები დაიხარჯა, კოლმეურნეობამ კი იზარალა.

გასული წლის ივლისში გიგოლაშვილმა ბანკიდან მიიღო 1000 მანეთი. ეს თანხა მონგარიშემ არც შემოსავალში გაატარა და არც გასავალში. ამ ფულიდან გიგოლაშვილმა თითქოს 600 მანეთად 2 კუბ. მეტრი შეშა იყიდა; ანგარიშს ამოწმებს სანავარდოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ლეკიაშვილი, მაგრამ როცა ამის შესახებ მას შეეკითხნენ, განაცხადა: ეს საბუთი მე არ შემიმოწმებიაო. კოლმეურნეობის ერთერთ დებიტორზე შარშან ირიცხებოდა კოლმეურნეობის 120 მანეთი. ამის საფასურში დებიტორმა ვერცხლის საათი დასტოვა. საათი მონგარიშე ყულიჯანაშვილმა მიითვისა, ხოლო მისი პატრონი უიმედო დებიტორად გამოაცხადეს.

მიმდინარე წლის დასაწყისში გიგოლაშვილმა მოინდომა მონგარიშე ყულიჯანაშვილის გომურში კოლმეურნეობის პირუტყვის მოთავსება და საფასურად 50 შრომადღის დაწერა ყულიჯანაშვილისათვის. გომურის შეკეთებაზე 8-10 შრომადღე დაიხარჯა, როდესაც კოლმეურნეობის უკეთესი გომური უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

მოანგარიშის მიერ პროდუქტები რამდენჯერმე გაცემულია არაკოლმეურნეებზე. სკოლის გამგეზე გაიცა 150 კილოგრამი ქერი, კოოპკავშირის გამგეობას მიეცა 100 კილოგრამი შვრია, 150 კილოგრამი ქერი და 16 კილოგრამი სიმინდი.

ფაქტები სხვაც ბევრია, რომლებიც გიგოლაშვილისა და ყულიჯანაშვილის უყაირათო მუშაობას მოწმობენ, მაგრამ ილუსტრაციისათვის ესეც კმარა.

იმედი გვაქვს, რომ გიგოლაშვილისა და ყულიჯანაშვილის მოქმედებას რაიონის ხელმძღვანელი ორგანიზაციები სათანადოდ შეაფასებენ.

კოლმეურნე.

რადიო-კვანძი დაჩქარებით უნდა მოეწყოს

ორი წლის წინათ ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) რაიონში აშენებულ იქნა რადიოკვანძი, მაგრამ ცვალებადი დენის უქონლობის გამო რადიო დღესაც არ მუშაობს.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიერ არაერთხელ იყვნენ მოვლინებული ინჟინრები ამ საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ მოვლინებულმა ამხანაგებმა ვერ შესძლეს სწორი დასკვნის მოცემა ელექტრომანქანების ვარგისიანობაზე.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ რადიო-კვანძი მოთავსებულია ნესტიან შენობაში და აპარატურას გაფუჭება მოელის.

კავშირგაბმულობის რწმუნებულის სამმართველომ ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს რადიო-კვანძის მოწყობის საქმე ორჯონიკიძის რაიონში.

ა. დევდარიანი

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

გამცდენთა დამფარველი

თელავიდან „კომუნისტის" მუშკორი გვატყობინებდა, რომ პირველი უბნის მოსამართლე ელენე გავარდაშვილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების ცხოვრებაში განუხრელად გატარების საქმეს. უმართებულოდ სპობს გამცდენთა და შრომის დეზორგანიზატორთა საქმეებს, დამახინჯებით გამოაქვს განაჩენი და დროზე არ უგზავნის მათ სათანადო ორგანიზაციებს.

წერილი გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გაეგზავნა საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარს ამხ. ჩხეტიანს, რომელიც გვატყობინებს, რომ მოსამართლე ელენე გავარდაშვილის მიმართ აღნიშნული ფაქტები გამორკვევით დადასტურდა; დასმულია საკითხი მისი თანამდებობიდან გამოწვევისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოების ეკონომიკის შემსწავლელთა დასახმარებლად

სსრ კავშირის მრეწველობის ძირითადი ფონდების გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქცია

თბილისის ხელმძღვანელი პარტიული აქტივისათვის უკვე სისტემატურად იჯყობა ლექციები ეკონომიკის საკითხებზე. ამ ლექციების მიზანია შეაიარაღოს ხელმძღვანელი პარტიული აქტივი მეურნეობის ეკონომიკის ცოდნით, შეასწავლოს მათ დაგეგმვისა და ფინანსების საქმე.

დღევანდელ ნომერში ვათავსებთ ამხ. ირ. მიქელაძის მიერ თბილისის ხელმძღვანელი პარტიული აქტივისათვის წაკითხულ ლექციას.

ყოველგვარი საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელია საზოგადოებრივი პროდუქტის რეპროდუქცია, ხოლო ამის აუცილებელ პირობას საწარმოო საშუალებათა სისტემატური შევსება და გადიდება წარმოადგენს. „არც ერთ საზოგადოებას — სწერდა კ. მარქსი—არ შეუძლია განუწყვეტლად წარმოება, ე. ი. რეპროდუქცია, უიმისოდ, რომ მუდამ არ გადააქციოს თავისი პროდუქტების ერთი ნაწილი საწარმოო საშუალებებად ანუ ახალი წარმოების ელემენტებად“. [1]

კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში რეპროდუქცია ზრდის კაპიტალისტური ეკონომიკის ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს, ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას და ნიადაგს ამზადებს სოციალისტური რევოლიუციისათვის. კ. მარქსი აღნიშნავს „...კაპიტალისტური წარმოების პროცესი, განხილული განუწყვეტლობაში, ანუ როგორც რეპროდუქციის პროცესი, აწარმოებს არა მარტო საქონელს, არა მარტო ზედმეტ ღირებულებას, არამედ იგი აწარმოებს და აღადგენს თვით კაპიტალისტურ ურთიერთობას: ერთ მხარეზე კაპიტალისტს, ხოლო მეორე მხარეზე—დაქირავებულ მუშას“. [2]

გაფართოებული კაპიტალისტური რეპროდუქცია მიმართულია მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ. — „სიმდიდრის დაგროვება ერთ პოლუსზე არის იმავე დროს დაგროვება სიღატაკის, შრომით დატანჯულობის, მონობის, უვიცობის, გაველურებისა და ზნეობრივი დეგრადაციისა მოპირდაპირე პოლუსზე, ე. ი. იმ კლასის მხარეზე, რომელიც თავის საკუთარ პროდუქტს კაპიტალის სახით აწარმოებს“. [3]

გაფართოებული რეპროდუქცია თვისობრივად განსხვავებული ხასიათისაა სოციალისტური ეკონომიკის პირობებში.

სსრ კავშირის მრეწველობის ძირითადი ფონდების გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქცია წარმოადგენს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის ნაწილს. სსრ კავშირის მრეწველობის ძირითადი ფონდები წარმოადგენენ შრომის საშუალებებს, ეს არის—საწარმოო შენობანი, ნაგებობანი, ძალოვანი დანადგარები, ტექნიკური მოწყობილობა და მანქანები, ინსტრუმენტები, ინვენტარი, ტრანსპორტი.

მრეწველობის ძირითადი ფონდები მონაწილეობას იღებენ რამდენიმე საწარმოო პროცესში, ისინი ცვდებიან თანდათანობით ისე რომ თავის ნატურალურ ფორმას არ ჰკარგავენ და მხოლოდ მას შემდეგ სტოვებენ წარმოების სფეროს, როდესაც შენაცვლებული იქნებიან.

ჩვენი მრეწველობის ძირითადი ფონდების გაფართოებულ სოციალისტურ რეპროდუქციას თან ახლავს ჩვენი მრეწველობის უდიდესი აღმავლობა, პროდუქციის გამოშვების გადიდება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის უწყვეტი გაუმჯობესება და კულტურული დონის გადიდება, მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქცია, მათი ხელახლა შეიარაღება მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა საფუძველზე. სოციალისტური ეკონომიკის პირობებში გამორიცხულია საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრება. ჩვენი მრეწველობის ძირითადი ფონდები სოციალისტური სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენენ, აქედან — მათი თვისობრივი განსხვავება ძირითად კაპიტალისაგან. სახელმწიფო საწარმონი თანმიმდევრობითი სოციალისტური ტიპის მეურნეობანია. ჩვენს პირობებში არ არის და არც შეიძლება იყოს ძირითადი კაპიტალი. სსრ კავშირის ძირითადი ფონდების გაფართოებული რეპროდუქციის თავისებურებანი ჩვენი მრეწველობის სოციალისტურ ბუნებიდან გამომდინარეობენ.

სოციალისტური მრეწველობისათვის დამახასიათებელია ძირითადი ფონდების სისტემატური ყოველწლიური გაფართოებული რეპროდუქცია; 1929 წ. აგრარიკოს მარქსისტთა კონფერენციაზე, ხალხთა დიდმა ბელადმა, ამხანაგმა სტალინმა კლასიკურად განსაზღვრა სსრ კავშირის მრეწველობის გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის პროცესი. „რეპროდუქციის მარქსისტული თეორია გვასწავლის, რომ თანამედროვე საზოგადოება ვერ განვითარდება თუ იგი წლითიწლობით არ აგროვებს, ხოლო დაგროვება შეუძლებელია, თუ რეპროდუქცია წლითი-წლობით არ იქნა გაფართოებული. ეს ნათელი და გასაგებია. ჩვენი მსხვილი ცენტრალიზებული სოციალისტური მრეწველობა ვითარდება გაფართოებული რეპროდუქციის მარქსისტული თეორიის მიხედვით, ვინაიდან იგი ყოველწლიურად იზრდება თავისი მოცულობით, აქვს თავისი დაგროვებანი და მიდის წინ გოლიათური ნაბიჯით“ [4]

ამრიგად, მრეწველობის ძირითადი ფონდების გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქცია აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ ჩვენი მრეწველობა განვითარდეს, გაძლიერდეს და შეასრულოს თავისი წამყვანი როლი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შენების საქმეში.

სსრ კავშირის ძირითადი ფონდების გაფართოებული რეკონსტრუქცია მიმდინარეობს როგორც უწყვეტი პროცესი, ჯერ არნახული სწრაფი ტემპებით. რეპროდუქციის ასეთი ხასიათი აიხსნება გეგმიანი სოციალისტური მეურნეობისათვის უპირატესობებით, რომელმაც არ იცის კაპიტალისტური მეურნეობისათვის დამახასიათებელი ანტაგონისტური წინააღმდეგობები, ანარქია და პერიოდული კრიზისები. კაპიტალიზმის პირობებში ძირითადი კაპიტალის ზრდა სწარმოებს არათანაბრად და სუსტი ტემპებით. ძირითადი კაპიტალის ზრდის ტემპების დასახასიათებლად საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ აკადემიკოს გ. სტრუმილინის გაანგარიშებით რევოლიუციამდე რუსეთის მრეწველობის ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ზრდა (საშუალო გეომეტრიული) 1885—1913 წლ. განმავლობაში 7,2 პროც. შეადგენდა. ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის ძირითადი კაპიტალის საშუალო წლიური ზრდა (1899—1914 წლ.) 6,5 პროც. არ აღემატებოდა კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის პერიოდში ძირითადი კაპიტალის ზრდა კიდევ უფრო შემცირებულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამხედრო მნიშვნელობის დარგებს. კრიზისის პერიოდში არამც თუ არ სწარმოებს ძირითადი კაპიტალის გაფართოება, არამედ ადგილი აქვს ძირითადი კაპიტალის კატასტროფულ დაუტვირთველობას.

სრულიად სხვა პირობები გვაქვს სოციალისტურ მრეწველობაში. სსრ კავშირის მსხვილი მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები წლის დამლევისათვის (პირველადი ღირებულების მიხედვით) შემდეგ დინამიკას იძლევა: 1928 წ.—10.262 მილ. მან.; 1932 წ.—22.627 მილ. მან., 1937 წ.—57.935 მილ მან. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ სსრ კავშირის ძირითადი ფონდები პირველ ხუთწლედში გაიზარდა 2-ჯერ, ხოლო მეორე ხუთწლედში 2,5-ჯერ. ორივე ხუთწლედის განმავლობაში —5,6-ჯერ. მათ შორის საწარმოო საშუალებათა დამამზადებელი დარგების — 7,6-ჯერ, ხოლო სამომხმარებლო საშუალებათა დამამზადებელი დარგების—2,9-ჯერ, რაც მკაფიოდ გამოხატავს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას. ძირითადი ფონდების საშუალო წლიურმა (გეომეტრიული საშუალო) ზრდამ 1928—1937 წლ. პერიოდში 22 პროც. შეადგინა.

მოყვანილი ციფრები ნათლად მოწმობენ რომ სსრ კავშირის ძირითადი ფონდების გაფართოებული რეპროდუქცია უმაგალითო სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა.

ლენინურ-სტალინური მოძღვრება ინდუსტრიალიზაციის შესახებ საფუძვლად დაედო სახალხო შემოსავლის განაწილებას მოხმარებისა და დაგროვების ფონდში. სოციალიზმის მატერიალურ ბაზას წარმოადგენს მძიმე მრეწველობა, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს გაფართოებული რეპროდუქცია, როგორც თვით მრეწველობაში, ისე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

მძიმე მრეწველობა წარმოადგენს იმ დარგს, რომელიც სახალხო მეურნეობას აწვდის მანქანებს, ლითონს, სამშენებლო მასალებს და სხვა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უზრუნველჰყოფს გაფართოებულ სოციალისტურ რეპროდუქციას.

მძიმე მრეწველობის განვითარების გარეშე შეუძლებელი იყო სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანების გადაწყვეტა, ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია სწორედ მძიმე მრეწველობიდან იქნა დაწყებული.

მრეწველობის ძირითადი ფონდების გაფართოებულ რეპროდუქციას უზრუნველყოფს კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც ხმარდება ფაბრიკა-ქარხნების, მაღაროების, ელსადგურების მშენებლობას და არსებულთა გაფართოებასა და რეკონსტრუქციას. ჩვენის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის აუცილებელი იყო დიდი კაპიტალური დაბანდებანი, უზარმაზარი სამშენებლო პროგრამის განხორციელება.

მრეწველობის კაპიტალური დაბანდებანი პირველ ხუთწლედში შეადგენდნენ — 26,4 მილიარდ მან., მეორე ხუთწლედში — 58,6 მილიარდ მან., მესამე ხუთწლედში საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობის მიერ დამტკიცებული გეგმით—111,9 მილიარდ მანეთს.

კაპიტალურ დაბანდებათა ის ნაწილი, რომელიც უდრის ძირითადი ფონდების ამორტიზაციას, ანუ ძირითადი ფონდების ექსპლოატაციის პერიოდში მომხდარი გაცვეთის ღირებულების ანაზღაურებას, როგორც წესი, უზრუნველყოფს მარტივ რეპროდუქციას. კაპიტალურ დაბანდებათა ის ნაწილი, რომელიც აღემატება საამორტიზაციო ფონდს და ხმარდება არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა გაფართოებასა და გადიდებას, უზრუნველყოფს ძირითადი ფონდების გაფართოებულ რეპროდუქციას.

სოციალისტური მშენებლობის პირველ წლებში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ნაკლები იყო, ვიდრე საამორტიზაციო ანარიცხების რაოდენობა, რაც ძირითადი ფონდების ღირებულების შემცირებას მოასწავებდა. სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის პერიოდში შეუძლებელი იყო ძირითადი ფონდების გაფართოების უზრუნველყოფა. ძირითადი ფონდების ღირებულება 1917 წ. 1 ოქტ. შეფასებულია 3.500 მილ. მან. რაოდენობით, ხოლო 1921 წ. 1 ოქტ.—3.000 მილ. მან., რაც მოასწავებს მათი ღირებულების შემცირებას 16 პროცენტით.

1922-23 წ. მრეწველობის კაპიტალური დაბანდებანი უდრიდნენ 120 მილ. მანეთს, მაშინ როდესაც საამორტიზაციო ანარიცხები შეადგენდნენ 145 მილ. მან., ამრიგად, ამ პერიოდში მრეწველობის კაპიტალური დაბანდებანი არ უზრუნველყოფდნენ მარტივ რეპროდუქციასაც კი. 1923-24 წლ. კაპიტალური დაბანდებანი უკვე აღემატებიან საამორტიზაციო ანარიცხებს—39 მილ. მანეთით, 1924-25 წ. — 108 მილ. მან., 1925-26 წ. — 451 მილ მან., 1926-27 წ. — 692 მილ. მან. და 1927-28 წ.—უკვე 995 მილ. მან. [5] პირველ ხუთწლედში მრეწველობის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა უდრის 26.448 მილ. მან. ამათგან საამორტიზაციო ანარიცხები შეადგენენ 3.824,7 მილ. მან., ანუ 14,5 პროც., ხოლო ძირითად ფონდების დაბანდებათა და საამორტიზაციო ანარიცხებს შორის სხვაობა, ე. ი. რაც გაფართოებულ რეპროდუქციას ხმარდება, უდრიდა 22.623,3 ათას მან. ანუ მთელ კაპიტალურ დაბანდებათა 85,5 პროც. მეორე ხუთწლედში საამორტიზაციო ანარიცხების ხვედრითი წონა მთლიან კაპიტალურ დაბანდებებში შეადგენს 15,8 პროც.; ხოლო გაფართოებულ რეპროდუქციაზე დანიშნულ დაბანდებათა ხვედრითი წონა—84,2 პროც. მოყვანილი ციფრებიდან სავსებით ნათელია, რომ დაბანდებათა უდიდესი ნაწილი ხმარდებოდა და ხმარდება ძირითადი ფონდების გაფართოებულ რეპროდუქციას.

სოციალისტური მშენებლობის პირველ წლებში მრეწველობის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობაში სჭარბობდა დაბანდებანი არსებული ძირითადი ფონდების რეკონსტრუქციაზე და გაფართოებაზე. პირველ და მეორე სტალინურ ხუთწლედებში მკვეთრად იზრდება იმ დაბანდებათა ხვედრითი წონა, რომლებიც ახალ მშენებლობას ხმარდება. ასე მაგალითად, ახალი მშენებლობის ხვედრითი წონა მრეწველობის საერთო კაპიტალურ დაბანდებებში 1925-26 წ. 12,3 პროც. არ აღემატებოდა, 1932 წ. — 46,3 პროც. უდრიდა, ხოლო 1937 წ. 58 პროც. მიაღწია. **ახალი მშენებლობის ხვედრითი წონის ასეთი მკვეთრი ზრდა იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ ახალი მშენებლობა ძირითად ფონდების გაფართოებულ რეპროდუქციის ძირითად ფორმას წარმოადგენს.**

მშენებლობის ვადების დაჩქარებით და მშენებლობის გაუმჯობესებით, მოქმედებაში გადაცემული ძირითადი ფონდების ღირებულება ყოველწლიურად იზრდება. პირველ ხუთწლედში მოქმედებაში გადაცემული მრეწველობის ძირითად ფონდების ღირებულება კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის 62,8 პროც. შეადგენდა. მოქმედებაში გადაცემული ძირითადი ფონდების შედარებით დაბალი პროცენტი აიხსნება იმით, რომ პირველ ხუთწლედში გაშლილი ფრონტით დაიწყო ჩვენი ქვეყნის ახალ რაიონების სამრეწველო ათვისება, რამაც მეორე ხუთწლედში გამოიწვია დიდი გარდამავალი მშენებლობა. უკვე მეორე ხუთწლედში მოქმედებაში გადაცემული მრეწველობის ძირითადი ფონდების ღირებულება უდრის 53,0 მილიარდ მანეთს, რაც კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის 90,4 პროცენტს შეადგენს.

სსრ კავშირის მრეწველობის ძირითადი ფონდების გაფართოებული რეპროდუქციის შედეგად არსებითად განახლდა ჩვენი მრეწველობის ძირითადი ფონდები. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგი მოლოტოვი აღნიშნავდა: „მეორე ხუთწლედის განმავლობაში ძირფესვიანად განახლდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო — ტექნიკური აპარატი. ახალი საწარმოებიდან, რომლებიც პირველი და მეორე ხუთწლედის განმავლობაში აშენდნენ ან მთლიანად იქნენ რეკონსტრუირებული, 1937 წელს მივიღეთ მრეწველობის მთელი პროდუქციის 80 პროცენტზე მეტი“.

მესამე ხუთწლედში სწარმოებს ინტენსიური პროცესი სსრ კავშირის მრეწველობის ძირითადი ფონდების სოციალისტური გაფართოებული რეპროდუქციის იმ უდიდესი კაპიტალური დაბანდებათა მეოხებით, რომელნიც ხმარდებიან ახალ საწარმოო სიმძლავრეთა შექმნას.

იმისათვის, რომ გავზარდოთ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა, უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის ძირითადი ეკონომიური ამოცანის შესრულება — ეკონომიურად გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს, საჭიროა დიდი სამშენებლო პროგრამის განხორციელება. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ მოხსენებაში დააყენა საკითხი: „რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეკონომიურად გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს?— და იქვე უპასუხა—ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, წინსვლის სერიოზული და დაუცხრომელი სურვილი და მზადყოფნა გავიღოთ მსხვერპლი, მოვახდინოთ სერიოზული კაპიტალური დაბანდებანი ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ყოველმხრივ გაფართოებისათვის“ [6]

ი. მიქელაძე

---

[1] კ. მარქსი,—„კაპიტალი“, ტ. I, 1930 წ., გვ. 509.

[2] იქვე გვ. 522.

[3] იქვე გვ. 592.

[4] ი. სტალინი — „ლენინიზმის საკითხები“. XI გამოცემა.—გვ. 349.

[5] სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკა გრამოვსკისა და მარკუსის რედაქციით. გვ. 375.

[6] ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“ XI გამოცემა,—გვ. 717.

პარტიული ცხოვრება

ავამაღლოთ კომუნისტების დამრაზმავი როლი წარმოებაში

იქ, სადაც პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სწორად შეათავსეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო საქმიანობასთან, სადაც პარტიული კონტროლი დაქვემდებარებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების გატარებისათვის ბრძოლისადმი, წარმოებაში უშუალოდ მომუშავე კომუნისტები ანხორციელებენ ავანგარდულ როლს, რის შედეგად მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან.

მაგალითად, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საბარგო-სავაგონო საამქროს კომუნისტი სტახანოველი ი. მახაიძე თვიურ საწარმოო გეგმას 200-დან 300 პროცენტამდე ასრულებს. მჭედელი ქ. ილურიძე—220-დან 230 პროცენტამდე.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს გამჩარხავი საამქრო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების გამოქვეყნებამდე თუ თვიურ საწარმოო გეგმას 227 პროცენტით ასრულებდა, ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ 232 პროცენტით ასრულებს. ამ საამქროში მომუშავე კომუნისტები ვ. ბოხუა, ქ. სინჯიკაშვილი, შ. წიკლაური და სხვა ენერგიულად მუშაობენ საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის.

მსგავსი მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ თბილისის მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკიდან. აღნიშნული ფაბრიკის სამანქანო საამქროს კომუნისტი მედაზგე ამხ. ლ. ბარსეგიანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების გამოქვეყნებამდე თუ თვიურ საწარმოო გეგმას 284,1 პროცენტით ასრულებდა, ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ 315 პროცენტით ასრულებს. იმავე ფაბრიკის ამწყობი საამქროს მეჩუქურთმე ამხ. გ. პავლიაშვილი (პარტიის წევრი) ენერგიულად მუშაობს საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. თუ ამხ. პავლიაშვილი თვიურ საწარმოო გეგმას 26 ივნისის ბრძანებულებამდე 279 პროცენტით ასრულებდა, ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ 293,9 პროცენტით ასრულებს.

ზემოთ მოყვანილი ფაქტები მოწმობენ იმას, თუ როგორ ამაღლდა კომუნისტების დამრაზმავი როლი წარმოებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ საწარმოებში უშუალოდ მომუშავე კომუნისტები არამც თუ დგანან შრომის ნაყოფიერებისათვის ბრძოლის ავანგარდში, არამედ ამავე დროს რაზმავენ და მოუწოდებენ არაპარტიულ ბოლშევიკებს საწარმოო გეგმების თვალსაჩინო გადაჭარბებით შესრულებისა და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

მაგრამ ზოგიერთ საწარმოებში კომუნისტები ასე თავგამოდებით როდი მუშაობენ საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. მაგალითად, თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის მუშა ამხ. ქ. არუთინოვი (პარტიის წევრი), საწარმოო გეგმას რაოდენობის მიხედვით ასე თუ ისე ასრულებდა, მაგრამ ხშირად იგი ცუდი ხარისხის პროდუქციას უშვებდა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროდუქციის ცუდი ხარისხით გამოშვება მავნებლობას უდრის. პარტიის თვითეული წევრი უნდა იბრძოდეს საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცე დაცვით.

არტელი „საქნაბადი“ საწარმოო გეგმის შესრულების საქმეში დიდად ჩამორჩა. არტელმა ივლისის საწარმოო გეგმა 37,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო აგვისტოსი — 51,5 პროცენტით. ცხადია, ეს ყველაფერი გამოწვეულია ერთის მხრივ პარტიული ორგანიზაციის სუსტი მუშაობით და მეორეს მხრივ იმით, რომ თვით წარმოებაში უშუალოდ მომუშავე ზოგიერთი კომუნისტები საწარმოოს ვერ ჩაუდგნენ ავანგარდში, ვერ განახორციელეს ავანგარდული როლი.

ასევე შეიძლება ითქვას თბილისის ქაღალდის ფაბრიკაზე, სადაც წარმოებაში უშუალოდ მომუშავე კომუნისტების ერთი ნაწილი ვერ ასრულებს ავანგარდულ როლს საწარმოო გეგმების შესრულების საქმეში. ამიტომ არის რომ აღნიშნული ფაბრიკა ჩამორჩენილია საწარმოო გეგმის შესრულებაში. მაგალითად, მიმდინარე წლის 8 თვის საწარმოო გეგმა ნატურით 74 პროცენტით არის შესრულებული.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ წარმოებაში უშუალოდ მომუშავე კომუნისტების დამრაზმავი როლი, რათა კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ არაპარტიული ბოლშევიკების შემოქმედებითს აღმავლობას და თავდადებული მუშაობით საწარმოო დავალებათა შესრულების საქმეში საუკეთესო მაგალითებს იძლეოდნენ.

გრ. ოდიშელი.

თბილისის თამბაქოს ფაბრიკის კომკავშირის ახლად არჩეული კომიტეტი. კომკავშირის კომიტეტის მდივანი ლ. აირაპეტოვი (შუაში) ესაუბრება კომიტეტის წევრებს (მარცხნივ) ე. კასპანიას, ს. კოტოიანს, გ. არუთინოვს, ლ. ერემენკოს.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

საქ. ალკკ აჭარის XVIII საოლქო კონფერენცია

(ბათუმი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

22 სექტემბერს დაამთავრა მუშაობა საქ. ალკკ აჭარის XVIII საოლქო კონფერენციამ, რომელიც წინა დღით გაიხსნა. ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის შემდეგ კონფერენციამ მქუხარე ტაშით აირჩია საპატიო პრეზიდიუმში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი **სტალინის** მეთაურობით და აგრეთვე ამხანაგები **დიმიტროვი, ჩარკვიანი და ბაქრაძე.**

შემდეგ მოსმენილ იქნა საქ. ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. სანიკიძის და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ბ. ხალვაშის საანგარიშო მოხსენებანი.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ო. მახარაძემ, ტ. გოლეთიანმა, ა. გოგოლიშვილმა, ა. ხახუტაშვილმა, დ. სულაბერიძემ, მ. უნგიაძემ, მ. თხილაიშვილმა და სხვ.—სულ 33 დელეგატმა.

მოხსენებებიდან და კამათში გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ საანგარიშო პერიოდში აჭარის კომკავშირის ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს კომკავშირის რიგებში მოწინავე ადამიანების მიღებისათვის. ამ ხნის განმავლობაში კომკავშირში მიღებულია 6.408 კაცი და ჩამოყალიბებულია 52 ახალი კომკავშირული ორგანიზაცია. პარტიაში შესასვლელად რეკომენდაცია მიეცა 1.560 კომკავშირელს. აქედან პარტიის ქალაქკომისა და პარტრაიკომების მიერ 1.370 კაცი მიღებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში.

კომკავშირული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობდნენ სტახანოვურ მოძრაობაში და პარტორგანიზაციების დახმარებით ენერგიულად იბრძოდნენ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის. 1939 და 1940 წლებში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში აჭარიდან 214 კომკავშირელი მონაწილეობდა. ამჟამად 4900 მეტი კომკავშირელი გულმოდგინედ სწავლობს ლენინ-სტალინის პარტიის გმირულ ისტორიას. წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს საოლქო კომიტეტი დახმარებას უწევდა ლექციებისა და საუბრების მოწყობით.

კონფერენციაზე განსაკუთრებით გაკრიტიკებულ იქნა საწარმოთა კომკავშირული პირველადი ორგანიზაციები. ბათუმის მთელ რიგ საწარმოებში კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ კომკავშირელთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეს. მართალია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ შემცირდა გაცდენა - დაგვიანების შემთხვევები, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, მაგრამ ისეთ საწარმოებში, როგორიცაა ფეხსაცმლის ფაბრიკა, მანქანათმშენებლობის ქარხანა, ნავსადგური და სხვ., ამჟამადაც აქვს ადგილი შრომის დისციპლინის დარღვევას ზოგიერთი კომკავშირელის მიერ.

კონფერენციამ საქ. ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, მიიღო შემდეგი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

კონფერენციამ მქუხარე ტაშის გრიალში მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა საყვარელ ბელადს დიდ **სტალინს** და ქართველი ხალხის სამაყო შვილს **ლ. პ. ბერიას.** არჩეულ იქნა საქ. ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტი 49 წევრისა და 15 კანდიდატის შემადგენლობით, სარევიზიო კომისიაში—11 კაცი. კონფერენციამ საქ. ალკკ XV ყრილობის პირველ დელეგატად აირჩია დიდი **სტალინი.** აგრეთვე არჩეული არიან ამხანაგები **ლ. ბერია, კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე,** საბჭოთა კავშირის გმირი **ა. სულაბერიძე, თ. ბირკაძე, გ. კიკნაძე, ვ. სანიკიძე, ფ. დუმბაძე, მ. კალანდაძე, ა. გურგენიძე** და სხვ.—სულ 44 დელეგატი.

○

შესდგა საქ. ალკკ აჭარის ახლად არჩეული საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელმაც საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. სანიკიძე და მდივნად პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში ამხ. ფ. დუმბაძე. საოლქო კომიტეტის ბიურო არჩეულია 7 წევრის შემადგენლობით. პლენუმმა გაზ. „ახალგაზრდა ლენინელის“ რედაქტორად დაამტკიცა ამხ. ალ. გურგენიძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქ. კ. პ. (ბ) აჭაროლქკომის მდივნები ამხ. ი. კორძაია და ივ. რუხაძე და საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. თ. ბირკაძე.

კ. დობორჯგინიძე

რატომ ჩაიშალა პარტიული კრება

სოფ. ჩაისუბნის (ქობულეთის რაიონი) ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ჯ. ყურშუბაძე სათანადო ყურადღებას არ აქცევს პარტიული კრებების წინასწარ გულდასმით მომზადებას. ამის შედეგად ხშირია მოწვეული კრების ჩაშლა.

მაგალითად, ა. წ. 27 აგვისტოსათვის მოწვეული პარტიული კრება არ შესდგა, კრება გადატანილ იქნა 28 აგვისტოსათვის, მაგრამ არც ამ დღეს შესდგა და კვლავ გადაიდო 29 აგვისტოსათვის. სამწუხაროდ, კრება 29 აგვისტოსაც ჩაიშალა. ამის მიზეზი ის არის, რომ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა არ იყო ჩატარებული და უზრუნველყოფილი არ იყო კრებაზე კომუნისტების დასწრება.

კოლმეურნეობაში სუსტად არის დაყენებული სააგიტაციო მასობრივი მუშაობა, აგიტკოლექტივი არ მუშაობს, აგიტატორებმაც შეანელეს თავიანთი საქმიანობა.

ჩვენს კოლმეურნეობაში 70-მდე სტახანოველი კოლმეურნე და კოლმეურნე-ქალია, მაგრამ პარტორგანიზაცია სუსტად მუშაობს მათგან საუკეთესოთა პარტიის რიგებში მიღებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომი უნდა დაეხმაროს ამ პარტიულ ორგანიზაციას მუშაობის გაუმჯობესებაში.

ს. ყურშუბაძე

„აფრებიანი ხომალდებისა“ და მისი ქება-დიდების შესახებ

ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოვიდა კ. გოგიავას წიგნი „აფრებიანი ხომალდები“, რომელიც გამოსცა საქ. ალკკ ც. კ-ის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურულმა გამომცემლობამ — „საბლიტგამმა“ და, მაშასადამე, იგი განკუთვნილია ახალგაზრდობისათვის. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ახალგაზრდა ავტორების ყოველ ახალ წიგნს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა ვექებდოთ ყველაფერი, რაც იწერება.

რას წარმოადგენს „აფრებიანი ხომალდები“?

პირველი ორი მოთხრობა — „კაპარჭინის მებადურნი“ და „აფრებიანი ხომალდები“ მეთევზეთა ცხოვრებიდანაა. ავტორი ცდილობს ასახოს მეთევზეთა ცხოვრებაში ახალი წყობილების შექმნა. ორივე მოთხრობა ერთფეროვანია, ერთი და იგივე თემა, სიუჟეტი. მეთევზე მაკარი თოდუა ყვლეფს ღარიბ მეთევზეებს, მოჯამაგირეებს, დაარსდება არტელი და მაკარის მზეც ჩაესვენება. ასეთია „კაპარჭინის მებადურნი“. რემა შელია მოჯამაგირეებს ყვლეფს, თევზებს აჭერინებს და მდიდრდება. ბოლოს მას ერთი მოჯამაგირე ჰყავს და ისიც არტელში შევა. რა განსხვავებაა მაკარ თოდუასა და რემა შელიას შორის? თითქმის არავითარი. ეს ორი მოთხრობა ერთმანეთის სუსტ ვარიანტს მოგაგონებს. მოთხრობა „სიყვარული სიხარულია“ ისევე გულუბრყვილოდ არის დაწერილი, როგორც პირველი ორი. ავტორს თითქოს სურს გვიჩვენოს ახლებური სიყვარული, მაგრამ ვერ გამოდის. საერთოდ ავტორი დღევანდელი სინამდვილის ასახვაში მხატვრის თვალის უქონლობას იჩენს.

მოთხრობებს ახასიათებს სინამდვილის უცოდინარობა. ამის დაფარვას ავტორი ცდილობს უამრავი დეტალებით, ზედმეტი ნატურალისტური აღწერილობებით, გაჭიანურებით. სწორედ ასეთთა შესახებ სთქვა მ. გორკიმ, რომ ზოგიერთ ავტორს დეტალიზაცია იტაცებს და აუარებელ წვრილმანებში მკითხველი ველარ ჰხედავს რაში მდგომარეობს მთავარი. ორიგინალობის, თავისი სტილის გამოვლინების მიზნით - ავტორი ეძებს უცნაურ გამოთქმებს, მაგრამ უარყოფითს შედეგებს აღწევს. აი სანიმუშოთ, რამდენიმე შედარება: „წვიმის წვეთები კალმახებივით ეცემა“, „პალიასტომში (?) ნავით გასეირნება“, „უკანასკნელი იმედი გულშივე ჩაიმსხვრა და ნამსხვრევები თვალებიდან წამოვიდა,—თბილი ცრემლები ნიკაპზე ისკვნებოდნენ“, „როგორც ნავებში წყალმა, სიხარულმა ითქრიალა იმათ სახეზე“, „ხვანწვალა თევზიჭერიები ფართქალებენ“, „მიტოს ძახილმა სიბნელე შეაზანზარა“ და სხვ.

იმავე დროს მე-15 გვ. ვკითხულობთ: „ქარხნის კედელზე მიშენებული ოთახიდან მოისმოდა ხმაური, სიმღერა და სიცილი. ეს იყო უჯრედი, სადაც კრება ჰქონდათ მოწვეული“. რა იყო უჯრედი: ოთახი თუ ხმაური, სიმღერა და სიცილი? უჯრედში ჰქონდათ მოწვეული კრება, თუ უჯრედის კრება იყო მოწვეული?

ხშირია განმეორება: მაგალითად, ლიას მოხუცებულობის შესახებ: მე-13 გვერდზე —„ახლა 40 წლის ქალია, ჩამქრალი თვალები აქვს და ფერმკრთალი სახე“, მე-14 გვ. —„დაჭკნა, დაბერდა, თმას იღებავს“, მე-31 გვ.—„ლიას თმაში ჭაღარა საკმაოდ შერეული ჰქონდა და სახეზედაც მოტეხილი(?) იყო“. ანდა: მეთევზეთა არტელის ერთ ნავს ხან „კოლექტივის იმედი“ ქვია და ხან „არტელის იმედი“. სიტუაციები გულუბრყვილო და დაუჯერებელია. ასეთია მღვდლის მიერ ჯვრის დაკარგვა არტელის ნავების ჩაძირვის დროს.

კიდევ უფრო გასაკვირი და ავტორის მიერ მასალის უცოდინარობის დამადასტურებელია, როცა ლია ყოფ. მოჯამაგირე გვაჩის მოწამვლას აპირებს საწამლავშერეული... შოკოლადით.

როგორაა წარმოდგენილი მოთხრობებში ახალი ცხოვრება? მეთევზეთა არტელის ბრიგადირს ზამკოვს სათევზაოდ გასვლისას ნავში არღანი უდგას და უკრავს. სად ნახა კ. გოგიავამ, რომ მეთევზეები ზღვაში სათევზაოდ არღნით გადიოდნენ?!

კიდევ უფრო სუსტია ნარკვევები. აი, მაგალითად, „ქორწილი კოშში“. თხრობის სისუსტე და სიუჟეტის გულუბრყვილოდ გაშლა ამჟღავნებს მისი ავტორის მიერ დღევანდელი სინამდვილის, მხატვრული სიმართლით ასახვის უუნარობას და თავისთავად საინტერესო ფაქტიურ მასალას დამაჯერებლობას უკარგავს.

როგორც ვხედავთ, მოთხრობები და ნარკვევები ლიტერატურულ წუნს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, საბლიტგამი ქაღალდსაც არ იშურებს და უშვებს ამ სუსტ ნაწარმოებებს. რით აიხსნება ეს? ამ საკითხს ნათელს ჰფენს საბლიტგამის მუშაკის ა. სულავას რეცენზია, გამოქვეყნებული „ახალგაზრდა ბოლშევიკის“ № 1-ში. რეცენზიის ტონი მოწმობს, რომ ა. სულავა ცდილობს მისი შეფობით საბლიტგამის მიერ გამოცემულ წიგნს გზა გაუკაფოს მკითხველისაკენ. და განსაკუთრებული გულუხვობით ეპყრობა ავტორს.

თავი დავანებოთ ა. სულავას ისეთ მცდარ მოსაზრებებს, როგორც მაგალითად, მტკიცება, თითქოს საგაზეთო მუშაობა და ნარკვევების წერა ავტორს დააცილებს მხატვრულ პროზას. რატომ? განა ნარკვევი არ არის მხატვრული პროზა? განა გაზეთებში მუშაობამ ხელი შეუშალა ა. პუშკინის, ა. ჩეხოვის, ვ. მაიაკოვსკის, მ. გორკის ან ილიასა და აკაკის სამწერლო მოღვაწეობას?

ჩვენ კიდევ უფრო გაგვაკვირვა იმ გარემოებამ, რომ ა. სულავას ვერ დაუნახავს მოთხრობების და ნარკვევების სისუსტე. მხოლოდ წერილის ბოლოშია ნათქვამი, რომ ავტორმა „საჭიროა აიცილოს სქემატურობის ელემენტებიც, რომლებიც მას აქვს მოთხრობებში“. რაშია ეს სქემატურობა, კრიტიკოსი არ ამბობს. სამაგიეროდ იგი გულუხვად ამკობს ავტორს ასეთი სიტყვებით: „კ. გოგიავა აშკარად ამჟღავნებს მწერლის სასიამოვნო (?) თვისებებს. მას ახასიათებს თემის მიგნება, აქტუალობა, ემოციურობა, მიმზიდველი კოლორიტულობა“; „მოთხრობებში ჩანს... მხატვრის თვალი“, „კ. გოგიავამ მიიპყრო კრიტიკის ყურადღება“(?), „უსათუოდ კარგი მოთხრობებია“, „კარგადაა გადმოცემული ახლის გრძნობა“, „ავტორს... აქვს კარგი თქმები“ და ამის დასადასტურებლად ესეც მოჰყავს: „გოგონებს მიჰქონდათ ნაადრევი ვარდები, ვარდებივითვე ულაჟღაჟებდათ ლოყები“. რა არის კარგი ამ უხეირო გამოთქმაში?

არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ ერთ გარემოებას. ა. სულავა სწერს: „ის, რასაც ავტორი აღწერს, მის მიერ კარგად შესწავლილი მასალაა“. ვინც სარეცენზიო წიგნს გადახედავს, იგი დაგვეთანხმება, რომ ა. სულავას მტკიცება არ არის სწორი. მაგრამ ეს მტკიცება, შეიძლება სწორია წიგნის შემდეგი ადგილების მიმართ:

„როცა შინ დაიბარებს, ლია მიდის მასთან. ქანტურია არც კი მიესალმება, ისე შეიყვანს უკანა ოთახში, აკოცებს, მოეხვევა და...“ (გვ. 13).

(ბიცოლა ვერამ) „გამოხეულ შარვალში უცებ რაღაცას მოჰკრა თვალი. გაიღიმა და სიცილით ოთახში შევიდა. გვაჩიმ ეს შეამჩნია, შერცხვა, შეწითლდა და სასირცხო ადგილზე ბადე მიიფარა“ (გვ. 47).

„თეოფანე კუციას ცოლი ზის აივანზე. საკინძე შეუხსნია და ძუძუები ნახევრად მოუჩანს. უდარდელი ქალია, უკრავს გიტარას, თან ვნებიანად ღიღინებს“ (გვ. 48).

ჩვენ არ ვიცით, რამდენად კარგად აქვს შესწავლილი კ. გოგიავას ეს „მასალა“, მაგრამ ერთში უნდა დაგვეთანხმოს ავტორიც, კრიტიკოსიც, რედაქტორი შ. თაბუკაშვილიც და საბლიტგამის დირექციაც, რომ ჩვენს წიგნებში საერთოდ (მით უმეტეს ახალგაზრდობისათვის განკუთვნილში) დაუშვებელია ასეთი პორნოგრაფიის შეტანა.

როგორ მისცა კრიტიკოსმა ასეთი გულუხვი შეფასება ასეთ სუსტსა და როგორც ვნახეთ, მიუღებელ წიგნს? ეტყობა, მას ამ შემთხვევაში არ ამოქმედებდა მწერლისათვის ნამდვილი დახმარების გაწევის სურვილი. ა. სულავას უნდა შეეგნო მისსავე წერილში ციტირებული მ. გორკის მითითება: **„Учить начинающих литераторов писать просто, ясно, грамотно— входит в число обязанностей критики“.**

მწერლის სახელი ჩვენს ქვეყანაში დიდად საპატიო და იმავე დროს დიდი პასუხისმგებლობის შემცველია. დაუმსახურებელი ქება-დიდება და ნაადრევი პროფესიონალიზაციის ქადაგება ა. სულავას მიერ მხოლოდ ზიანს მოუტანს ყველა ახალგაზრდა მწერალს.

გრ. ნუცუბიძე.

იაპონიის ჯარისა და საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ჯარის შეტაკება

ტოკიო, 23 სექტემბერი (საკდესი). როგორც დომეი (ცუსინის) სააგენტო გადმოგვცემს, იაპონიის გენერალური შტაბის საარმიო სექციის პრეს-ბიუროს უფროსმა, პოლკოვნიკმა მაცუმურამ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში დაადასტურა ცნობა, რომ საფრანგეთის ინდო-ჩინეთში იაპონიის ჯარის შესვლის დროს შეტაკება მოხდა საფრანგეთის ადგილობრივ ჯართან დონდანის პუნქტის (ლუნჯოუს სამხრეთით) მახლობლად.

კორესპონდენტთა შეკითხვების პასუხად მაცუმურამ განაცხადა: იაპონიის ჯარი საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ტერიტორიაზე შესვლისას შეთანხმების შესაბამისად მოქმედებდა; საზღვრის გადალახვის წინ მან საფრანგეთის ჯარი გააფრთხილა.

ალბათ, — განაგრძო მაცუმურამ, — საფრანგეთის ჯარმა სროლა ასტეხა, რადგან გვიანი დროის გამო საფრანგეთის ხელისუფალთა ბრძანება ჯერ კიდევ მიღებული არა ჰქონდა.

შანხაი, 23 სექტემბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტოს ხანოელი და რეიტერის სააგენტოს ხაიფონელი კორესპონდენტები იუწყებიან: 22 სექტემბერს ღამით იაპონიის ჯარი, რომელიც სამხრეთ-ჩინეთიდან უტევდა, საფრანგეთის ინდო-ჩინეთში შეიჭრა ორი საათით ადრე, სანამ იაპონელთა მიერ წარდგენილ ულტიმატუმს ვადა გაუთავდებოდა. ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი შეტაკების შემდეგ დონდანში საომარი მოქმედება შესწყდა იმის შემდეგ, როდესაც იქ მივიდა იაპონიის მისიის მეთაურის წარმომადგენელი გენერალ-მაიორი ნისიხარა.

შემდეგ აღნიშნულია, რომ საფრანგეთისა და იაპონიის ხელისუფალთა შორის მიღწეულია შეთანხმება. იაპონელებს გადაეცემათ სამი საჰაერო ბაზა ტონკინში და უფლება ექნებათ იყოლიონ იქ ექვსექვსი ათასი ჯარისკაცი. მათ იმის უფლებაც ენიჭებათ, რომ საფრანგეთის ინდო-ჩინეთზე ჯარი გადაიყვანონ გარკვეული მარშრუტით. გარდა ამისა, იაპონელებს ნება დაერთოთ ჯარისკაცთა განსაზღვრული რაოდენობა გადაიყვანონ და დააბინაონ ხაიფონში.

იაპონიის ჯარი საფრანგეთის ინდო-ჩინეთში შევიდა

იაპონურმა გაზეთმა „ნიცი-ნიციმ" შემდეგი ოფიციალური ცნობა გამოაქვეყნა: ხანოიში მყოფ იაპონიის წარმომადგენელთა და საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ხელისუფალთა შორის 22 სექტემბერს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, იაპონიის საარმიო და საზღვაო ნაწილებმა 23 სექტემბერს დაიწყეს საფრანგეთის ინდო-ჩინეთში შესვლა ჩრდილოეთის მხრიდან.

როცა იაპონიის ჯარი საფრანგეთის ინდო-ჩინეთის საზღვარს გადადიოდა, რამდენიმე მცირე შეტაკება მოხდა. იაპონიის ჯარი საფრანგეთის ინდო-ჩინეთის შიდა ნაწილებისაკენ წინსვლას განაგრძობს.

○

ამერიკულ ცნობებში აღნიშნულია, რომ იაპონიის ჯარმა იერიში მიიტანა საფრანგეთის ინდო-ჩინეთზე, მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულ იყო შეთანხმება, რომელიც იაპონიის ზოგიერთ მოთხოვნას აკმაყოფილებდა. (საკდესი).

ტაის ჯარის კონცენტრაცია საფრანგეთის ინდო-ჩინეთის საზღვარზე

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იმოწმებს ჩინურ ცნობებს და იუწყება: საფრანგეთის ინდო-ჩინეთში კრიზისის განვითარება იმის მაჩვენებელია, რომ შესაძლოა საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ტერიტორიაზე ერთდროულად შეიჭრას ტაის (სიამის) ჯარიც. როგორც იუწყებიან, ტაი ჯარს უყრის თავს საფრანგეთის ინდო-ჩინეთის საზღვარზე.

ჩინელები კვლავ ანგრევენ კუნმინ-ხაიფონის რკინიგზას ხეკოუს ჩრდილოეთით მდებარე უბანში.

ტონკინის ყურეში იაპონიის სამხედრო გემების შემდგომი კონცენტრაცია ხდება.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში. 14 სექტემბერს ღამით შანდუნის პროვინციაში ჩინეთის პარტიზანებმა იერიში მიიტანეს ცინდაოს ჩრდილოეთ-დასავლეთის მიდამოების მახლობლად მდებარე პუნქტზე. ოთხი საათის მედგარი ბრძოლის შემდეგ პარტიზანებმა ელექტროსადგური დაიკავეს. 20 სექტემბერს იაპონიის ჯარს მაშველი ძალები მოუვიდა და პარტიზანებს უკან დაახევინა. ცინდაოს ჩრდილოეთით ჩინელმა პარტიზანებმა იერიში მიიტანეს ქალაქ ლაიჯოუზე და იაპონელთა მთელი ადგილობრივი გარნიზონი ამოწყვიტეს. პარტიზანებს ხელში ჩაუვარდათ დიდძალი იარაღი და ამუნიცია.

შანსის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩინეთის ჯარმა რამდენიმე პუნქტი დაიკავა იანჩენის სექტორში.

როგორც გაზეთი „სინხუაჟიბაო" სწერს, ხანმოკლე შეტევის მიუხედავად, რომელშიც ჩინეთის 105 პოლკი მონაწილეობდა, მან მთელი რიგი გამარჯვება მოიტანა ჩრდილოეთ-ჩინეთში. 7 რკინიგზა იმდენად დაინგრა, რომ იაპონელები ამ გზაზე რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ აღადგენენ სრულ მოძრაობას. ჩინელებმა ხელთ იგდეს რამდენიმე სტრატეგიული პუნქტი. ტყვედ წაიყვანეს ასზე მეტი იაპონელი და მარიონეტული ხელისუფლების ათასი ჯარისკაცი. მარიონეტულ ხელისუფლებას ბეიპინში, ტიანძისა და ნანკინში მძიმე ლახვარი ჩაეცათ.

ცენტრალურ ჩინეთში. ძიანსის პროვინციაში ჩინეთის ჯარმა 20 სექტემბერს იერიში მიიტანა ნანჩანის სამხრეთით 25 კილომეტრზე მდებარე პუნქტზე. მრავალი იაპონელი მოჰკლეს და დასჭრეს. ჩინელები ამ სექტორში იაპონელთა კომუნიკაციებს ანგრევენ.

23 სექტემბერი (საკდესი).

ბულგარული პრესა „სლავიას" და „დინამოს" ფეხბურთის მატჩის შესახებ

სოფია, 23 სექტემბერი (საკდესი). ყველა გაზეთი აქვეყნებს დაწვრილებით ცნობებს „სლავიას" და „დინამოს" გუნდების გუშინდელ მატჩის შესახებ, რომელიც საბჭოთა ფეხბურთელების ახალი გამარჯვებით დამთავრდა. გაზეთები კვლავ აღნიშნავენ მოსკოველთა დიდ ინტერესს მატჩისადმი და მხურვალე ყურადღებას, რომლითაც ბულგარელი ფეხბურთელები სარგებლობენ მოსკოვში. პრესა მაღალ შეფასებას აძლევს „დინამოს" გუნდის თამაშს.

მდგომარეობა სამხრეთ-დობრუჯაში

სოფია, 23 სექტემბერი (საკდესი). ბულგარეთის ჯარის მიერ სამხრეთ-დობრუჯას პირველი ზონის დაკავებასთანავე, ბულგარეთიდან იქ ჩადიან სხვადასხვა უწყების მოხელეები, ექიმები, აგრონომები და სხვ. ბევრგან იმ მოსახლეობისათვის, რომელიც განსაკუთრებით ძლიერ დააზარალეს რუმინელებმა რეკვიზიციით, საზოგადო სამზარეულოები მოეწყო. 24 სექტემბერს რუმინეთის ჯარმა უნდა გაათავისუფლოს სამხრეთ-დობრუჯის მეორე ზონა, რომლის დაკავებას ბულგარეთის ჯარი 25 სექტემბერს დილით დაიწყებს. მეორე ზონაში შედის სამხრეთ-დობრუჯის მთავარი ქალაქი დობრიჩი.

მექსიკაში შექმნილი მდგომარეობა

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო მექსიკოდან იუწყება, იქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მთავრობის ჯარმა ჩააქრო ალმასანის მომხრეთა აჯანყება ჩიგუაგუას შტატში და შეიპყრო აჯანყების 200 მონაწილე.

მოკლე ცნობები

⊙ როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის სამხედრო-საზღვაო ხელისუფალნი აცხადებენ, რომ 19 სექტემბერს ვილანოს კონცხის მახლობლად (ესპანეთის ჩრდილოეთ-დასავლეთი სანაპირო) ტორპედირებულ იქნა ესპანეთის ტრალერი. როგორც ფიქრობენ, იტალიის წყალქვეშა ნავს ეს ტრალერი, ალბათ, ინგლისის საპატრულო გემი ეგონა. ეკიპაჟიდან მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა.

⊙ ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ლონდონელი კორესპონდენტის ცნობით, 23 სექტემბერს გერმანიის შორსმსროლელი ქვემეხები, რომლებიც დადგმულია საფრანგეთის სანაპიროზე, დუვრს უშენდნენ.

⊙ ფინური გაზეთი „ჰელსინგინ სანომატი" იუწყება, რომ 30 სექტემბერს ბარათები იქნება შემოღებული ყველზე, მუხუდოსა და რძეზე. კარაქის ფასი გადიდებულია.

⊙ ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების სამინისტროს ბიულეტენში აღნიშნულია, რომ 45 მილიონი ამერიკელი — ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის მესამედი — არასაკმარისად იკვებება.

⊙ 1940 წლის აღწერის მასალის თანახმად, 1 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა 131.409.881 კაცს შეადგენდა. მოსახლეობის რაოდენობის მხრივ ყველაზე დიდი შტატია ნიუ-იორკი, სადაც 13 მილიონზე მეტი მცხოვრებია.

⊙ იაპონელთა მიერ ოკუპირებულ გუანდუნის პროვინციის რაიონებში (სამხრეთ-ჩინეთი) სურსათის მწვავე ნაკლებობაა. კანტონში ყოველ დღე 100-ზე მეტი კაცი კვდება შიმშილით.

⊙ ანტეკერში (ესპანეთი) ფიჭვის ტყეს დიდი ხანძარი გაუჩნდა, რაც საომარი მასალის ქარხნებზე გადავიდა. მოხდა მრავალი აფეთქება, რამაც მსხვერპლი გამოიწვია. (საკდესი).

თბილისი. სასპორტო საზოგადოება „დინამოს" სრულიად-საკავშირო შეჯიბრება კალათბურთში. **სურათზე**—შეჯიბრების მონაწილენი ლენინგრადის გუნდი (მარცხნივ) და კიევის გუნდი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საქ. დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმი

21 - 22 სექტემბერს თბილისის მასწავლებლის სახლში შესდგა საქ. დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მე-3 პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი. საკავშირო პროფსაბჭოს მე-10 პლენუმის შედეგების შესახებ პლენუმმა მოისმინა დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ალ. მურუსიძის მოხსენება, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქ. განათლების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ბ. კიზირიას მოხსენება და კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. გრ. გაბისონიას თანამოხსენება.

პირველი მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ალ. მიშველიძემ (კავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი), შ. ორაგველიძემ (ბორჯომის რაიკომი), ლ. უბილავამ (გორის რაიკომი), ლ. პროკოფაშვილმა (მასწავლებლის სახლი), არ. ზაქარიაძემ (მახარაძის რაიკომი), ვ. ჭანიშვილმა (აჭარის საოლქო კომიტეტი), ა. მელქოევმა (კავშირის ც. კ.), და სურმავამ (გეგეჭკორის რაიკომი) და სხვ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ მოხსენებისა და თანამოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ ბ. ბარამიძე, (თბილისის განათლების განყოფილება), ტ. ფარცვანია (სიღნაღი), რ. ძაძამია (გეგეჭკორი), ვ. კეშელავა (კავშირის ც. კ.) და სხვ.

პლენუმმა მოხსენებებისა და მათს გარშემო გამართული კამათის საფუძველზე ორივე საკითხის შესახებ მიიღო სათანადო დადგენილებანი.

მხედველობის დაბრუნება

აკად. ფილატოვის მოწაფეების პირველი ცდები საქართველოში

უკრაინის ოფტალმოლოგიური საექსპერიმენტო ინსტიტუტის (ქალ. ოდესა) ხელმძღვანელმა, საბჭოთა მეცნიერმა აკად. ფილატოვმა მსოფლიო პოპულარობა მოიპოვა ქირურგიული საშუალებით ბრმებისათვის თვალის ახელის და მხედველობის დაბრუნების ცდებით. როგორც ცნობილია, მან გაამარტივა და გააუმჯობესა ბრმა თვალში ჯანსაღი თვალიდან რქოვანა გარსის გადანერგვის ტექნიკა, რითაც განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწია.

აკად. ფილატოვის ამ ახალი მეთოდით ამჟამად ბრმებისათვის მხედველობის დაბრუნების ცდები წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში—მოსკოვსა, ლენინგრადსა, კიევსა, ნოვოსიბირსკსა, ზაპოროჟიესა და სხვა ქალაქებში. ანალოგიური ცდები დიდი წარმატებით ჩაატარეს თბილისშიაც აკად. ფილატოვის მოწაფეებმა დოც. ი. სიხარულიძემ და ექ. ტ. რამიშვილმა. ისინი ამ რამდენიმე ხნის წინათ მივლინებული იყვნენ ოდესაში, სადაც გაეცნენ აკად. ფილატოვის ცდებს.

თბილისში მათ მოახდინეს ორი ცდა ბრმისათვის თვალში რქოვანა გარსის გადანერგვაზე. ერთი მათგანი, მოქ. შპიცერი დაბადებიდანვე ბრმა იყო და არასოდეს სინათლე არ ენახა. მას გადაუნერგეს რქოვანა გარსი და ორი თვის შემდეგ იგი განკურნებული გაეწერა თბილისის თვალის სნეულებათა ინსტიტუტიდან.

მეორე ავადმყოფი იყო ბორჯომის რაიონიდან ჩამოსული კოლმეურნე მოქ. ი., რომელიც უბედური შემთხვევის გამო სავსებით დაბრმავდა. ოპერაციის შემდეგ კოლმეურნე აღდგენილი მხედველობით დაბრუნდა.

იყო კიდევ ერთი საინტერესო შემთხვევა. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებელმა მოქ. ა. დ-მ სავსებით დაჰკარგა მხედველობა. ექიმების დასკვნით, ეს იყო შედეგი თვალის შემადგენელი ერთერთი ნაწილის—ე. წ. ბადურა გარსის დაშლისა. ოპერაციის შემდეგ (ოპერაცია ჩაატარა დოც. ი. სიხარულიძემ) მოქ. ა. დ-ს დაუბრუნდა მხედველობა და ახლა იგი კვლავ განაგრძობს მუშაობას.

ასეთია აკად. ფილატოვის მოწაფეების პირველი ცდები საქართველოში. ამ ცდებისა და ფილატოვის გამოცდილების მასობრივად გამოყენების შესახებ ჩვენში დოც. ი. სიხარულიძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— ბრმა თვალში რქოვანა გარსის გადანერგვა დიდ წინასწარ მუშაობას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გვქონდეს სათანადო მასალა, ე. ი. ჯანსაღი თვალი, საიდანაც უნდა გადავნერგოთ ეს რქოვანა გარსი. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ საუკეთესო ხარისხის მასალას იძლევიან შემთხვევით დაღუპულები, მათგან შეგვიძლია მივიღოთ ეს მასალა, მოვახდინოთ მისი კონსერვაცია და გამოვიყენოთ. სამწუხაროდ, თბილისში საქმე ისე არ არის მოწესრიგებული, რომ ამ მასალის მიღება გაგვიადვილდეს. საჭიროა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა და ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებამ მისცენ მითითება პროზექტურებს, რათა ამ მხრივ გაგვიწიონ დახმარება.

ახლა საოპერაციოდ ვამზადებ ერთ ბრმა გოგონას რაისა კაპიონკინას, რომელსაც 6 თვის ასაკისას დაუკარგავს მხედველობა. თუ ჯანსაღი თვალის შოვნა შევძელით, ამ დღეებში მას გავუკეთებთ ოპერაციას და იმედი გვაქვს, რომ მხედველობას დავუბრუნებთ.

წითელი დროშა საუკეთესო მუშაობისათვის

კოლმეურნეობებში ფიზკულტურული მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარმა კომიტეტმა 1940 წლის გამოფენის წითელი დროშით დააჯილდოვა საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი. ამასთან ერთად, მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა საპატიო სიგელები გადასცა 1940 წლის გამოფენის მონაწილე საქართველოს სპორტული [illegible] წევრებს.

საქართველოდან 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობს საკოლმეურნეო სოფლის 37 ფიზკულტურული კოლექტივი და სოფლად ფიზკულტურული მუშაობის 81 აქტივისტი და მოწინავე ხელმძღვანელი მუშაკი. (საქდესი).

კალათბურთი

საფინალო შეხვედრები

22 და 23 სექტემბერს თბილისში კიროვის სახელობის სასპორტო მოედანზე ჩატარდა სასპორტო საზოგადოება „დინამოს" საფინალო შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე კალათბურთში. მატჩმა ლენინგრადსა და მოსკოვს შორის (მამაკაცები) განსაზღვრა სსრ კავშირის ჩემპიონი საზოგადოება „დინამოს" ხაზით. ბრძოლა ძლიერ დაძაბული იყო და სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. გაიმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 26:14. თბილისის „დინამომ" გადათამაშების შემდეგ ძლივს მოუგო ხარკოვს.

შეჯიბრება დამთავრდა. მამაკაცთა გუნდში პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვმა, მეორე—ლენინგრადმა, მესამე — თბილისმა, მეოთხე—ხარკოვმა, მეხუთე — ქუთაისმა, მეექვსე—ბაქომ; ქალთა ჯგუფში—პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვმა, მეორე—სვერდლოვსკმა, მესამე — კიევმა, მეოთხე—ბაქომ, მეხუთე — თბილისმა და მეექვსე—სტალინგრადმა.

უნდა აღინიშნოს თბილისის გუნდების არასაკმარისი მომზადება, რაც სჩანს გათამაშების შედეგიდან. თბილისის საზოგადოება „დინამომ" ჩატარებული თამაშიდან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს.

ვლ. გინზბურგი

დოღი

მეორე დღე. „ჟამიერის" გამარჯვება

22 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე ჩატარდა დოღის საშემოდგომო სეზონის მეორე დღე.

მეორე დღეს ცხენთა შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდნენ ყულარისა და მუხროვანის მეცხენეობის საბჭოთა მეურნეობის, თბილისის სახელმწიფო საჯინიბოს, სპორტულ სკოლა „სპარტაკის" და საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის წმინდა სისხლის ულაყები და ფაშატები: „ჟამიერი", „მაშა", „ლაჟი", „ალკატი", „ჩელტი", „პირნათელი", „ლალა", „გოგონა", „მგოსანი", „ოზმა", „მარეხი", „გოლიათი", „ივერია", „დაუკარი" და სხვ. ჩატარებულ იქნა 7 დოღი. ყველა ამ დოღში ზემოჩამოთვლილმა პირველმა შვიდმა ცხენმა პირველი ადგილები დაიკავა, მეორე შვიდმა—მეორე ადგილები.

ყველაზე საინტერესო იყო მეშვიდე დოღი. გათამაშებულ იქნა ჯილდო ყაბარდოს ჯიშის სამწლიანი ულაყებისათვის. ამ დოღში პირველი ადგილი დაიკავა „ჟამიერმა" (თბილისის სახელმწიფო საჯინიბო, მხედარი ვ. ყოჩიაშვილი), რომელიც ყველაზე ბოლოს მოდიოდა, მაგრამ ფინიშთან ყველა ცხენებს ერთი ფეხით გაუსწრო.

კარგი იყო აგრეთვე მეხუთე დოღი, რომელშიც გათამაშებულ იქნა ჯილდო წმინდა სისხლის 4-წლიანი ულაყებისა და ფაშატებისათვის. ამ დოღში გამარჯვება წილად ხვდა „პირნათელს" (თბილისის სახელმწიფო საჯინიბო, მხედარი ა. სურმავა).

დოღის შემდეგი დღეა კვირა, 29 სექტემბერი. დასაწყისი დღის პირველ საათზე.

ქვემო-სვანეთის პირველი ალპინიადა

ამ დღეებში თბილისიდან ლენტეხში გაემგზავრნენ ქვემო-სვანეთის ალპინიადის მონაწილენი 10 კაცის შემადგენლობით, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ქვემო-სვანეთის პირველი ალპინიადის ჩატარება.

ამ ალპინიადის მთავარი მიზანია მთამსვლელობის განვითარება სვანეთის მთიან რაიონებში მცხოვრებთა შორის.

გეგმით გათვალისწინებულია ქვემო-სვანეთის 100 კოლმეურნის და მუშის ასვლა ლაილას მწვერვალზე.

ალპინიადას ხელმძღვანელობს სსრ კავშირის ალპინისტის მეორე საფეხურის ნიშნოსანი კოტე ჯავრიშვილი.

ვ. ახმეტელი

მშრომელთა დეპუტატების თბილისის სტალინის სახელობის რაისაბჭოს IV სესია

მშრომელთა დეპუტატების თბილისის სტალინის სახელობის რაისაბჭოს IV სესია გაიხსნება 27 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, სანკულტურის თეატრის შენობაში (ამოს ქ., № 1).

რაისაბჭოს დეპუტატები შედიან თავიანთი მანდატებით.

მშრომელთა დეპუტატების სტალინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომი.

26 სექტემბერს, საღამოს სრულ 9 საათზე, ფილარმონიის დარბაზში (რუსთაველის პრ., № 23) რუსულ ენაზე შესდგება პროფ. კ. ბაქრაძის ლექცია. თემა: „მარქსისტულ-დიალექტიკური მეთოდის ძირითადი ნიშნები".

ბილეთის ფასი 1 მანეთი. ბილეთები იყიდება ფილარმონიის სალაროში დილის 12-დან 6 საათამდე და საღამოს 7-დან 9 საათამდე.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

26 სექტემბერს, საღამოს 8 ს. და 30 წუთზე, ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში რუსულ ენაზე შესდგება ამხ. ქუთათელაძის ლექცია. თემა: „ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს".

○

26 სექტემბერს, საღამოს 8 ს. და 30 წუთზე, ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის ქართულ ენაზე შესდგება ჯგუფური კონსულტაცია. თემა: „პარტიის XIV ყრილობა და კურსი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისაკენ". კონსულტანტი—ამხ. ბიბილეიშვილი.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „კომბლე" (მე-22 აბ.), გრიბოედოვის სახელობის — „ლევ გურიჩ სინიჩკინი" (პრემიერა აბონემენტის გარეშე).

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „დურსუნ", **ოქტომბერი** — „დიდი ვალსი", **დამკვრელი** (ზამთრის და ზაფხულის) — „დურსუნ", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები", **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „სევანელი მეთევზეები", **ლუქსემბურგის სახ.** — „საყვარელი ქალიშვილი", **სპარტაკი** — „წმინდა იორგენის დღესასწაული", **კომინტერნი** — „ჯულბარსი", **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „ტრაქტორისტები", **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „საყვარელი ქალიშვილი", **განთიადი** — „ელისო", **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „დუნაიზე", **ვოროშილოვის სახ. კლუბი** — „უკანასკნელი ჯვაროსნები", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „მეგობრები ბანაკიდან", **წითელი არმიის სახლი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

28 სექტემბერს **სეზონის გახსნა** 28 სექტემბერს

ზ. ფალიაშვილი
აბესალომ და ეთერი
დადგმა რეჟ. შ. აღსაბაძისა, ხელოვნ. დამს. მოღვაწე.
დირიჟორი—შ. აზმაიფარაშვილი.
მხატვარი—ი. გამრეკელი, ხელოვნ. დამს. მოღვაწე.
ცეკვების დამდგმელი—დ. ჯავრიშვილი, ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე.
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
40

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი
25 სექტემბერს
გიორგი სააკაძე
26 სექტემბერს მე-2 აბ. მე-3 წარმ.
უდანაშაულო დამნაშავენი
27 სექტემბერს მე-5 აბ. მე-2 წარმ.
გიორგი სააკაძე
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილის 12-დან საღ. 9 საათამდე.
აბონემენტების გაცემა გრძელდება.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ. წ. სეზონი.
25 სექტემბერს
სერია მე-13 აბ. 1 წარმ.
გიორგი სააკაძე
26 სექტემბერს
სერია 1 აბ. მე-2 წარმ.
მადამ სან-ჟენ
27 სექტემბერს
სერია მე-2 აბ. მე-2 წარ.
ანრი სეარ
დასაწყისი 8 ს. 30 წ.

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
25 სექტემბერს
მე-2 აბ. მე-12 წარმ.
ქორწილი მალინოვკაში
26 სექტემბერს მე-3 აბ. მე-13 წარმ.
ცისფერი მაზურკა
დასაწყისი 9 საათზე.

ღია ესტრადა
25, 26, 27 სექტემბერს ესტრადის მსახიობთა **საღამო-კონცერტი**
ბაღში უკრავს ჯაზ-ორკესტრი ამდურის ხელმძღვანელობით.
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის ბილეთებით. დასაწყისი 9 ს. 30 წ.

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა" ამით აცხადებს, რომ მოქ. კობეშავიძე პავლე ლუარსაბის-ძე არ ირიცხება გამომცემლობის რწმუნებულად.

მასზე გაცემული საბუთები გაუქმებულია და გამომცემლობა არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს იმ შეკვეთების შესრულება-ანაზღაურებაზე, რაც მიღებული იქნება მოქ. კობეშავიძის მიერ.

394 გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა".

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი

დასკვნითი ბალანსი 1940 წ. 1 იანვრისათვის

სამკერვალო ფაბრიკა № 5 (ბათუმი)
(ათას მანეთებში)

აქტივი		პასივი	
მუხლების დასახელება	**ჯამი**	**მუხლების დასახელება**	**ჯამი**
1. ძირითადი საშუალებები	2225	1. საწესდებო ფონდი	6054
2. განყენებული საშუალებები	4696	2. 1939 წლ. მოგება	6323
3. ანარიცხები სპეცფონდებში	544	3. საშუალებები კაპიტალური რემონტისათვის	37
4. მასალები, ნედლეული და სათბობი	5404	4. მოკლევადიანი კრედიტები სახბანკიდან	371
5. დაუმთავრებელი წარმოება	652	5. სპეციალური ფონდები	523
6. მზა ნაწარმი და საქონელი საწყობებში	50	6. რეზერვები	21
7. მომავალი დროის ხარჯები	8	7. ანგარიშსწორებანი (კრედიტორები)	1505
8. საშუალებები კაპიტალურ რემონტში	29		
9. გადატვირთული საქონელი და შესრულ. სამუშაოები	548		
10. საგნები გამოყოფილი სარეალიზაციოდ	20		
11. ფულადი საშუალებები	579		
12. ანგარიშსწორებანი (დებიტორები)	15		
13. სპეცფონდებზე გადანახარჯი	20		
14 სპეცფონდების ანგარიშ. გეგმის ზევით კაპ. მშენ. დაფინანსება	44		
ბალანსი	14.834	ბალანსი	14.834

მოგება-ზარალის ანგარიში

დანაკარგები		დაგროვება	
1. სხვა დანაკარგები	88	1. მოგება რეალიზაციიდან	6321
		2. სხვა დაგროვება	90
მოგების ნაშთი	6323	ზარალის ნაშთი	—
სულ	6411	სულ	6411

დირექტორი **ვიგნანსკი.** მთავ. ბუღალტერი **ვახტანგაძე.**

დასკვნითი ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქ. მსუბ. მრეწვ. სახკომატის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1110 საქ. სსრ მსუბ. მრეწვ. სახკომატის ცენტრალური ბუხჰალტერიის უფროსი **ვ. ყიფიანი.**

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი პედ. სექტორი აცხადებს,

რომ ქ. თბილისში მცხოვრებ დაუსწრებელთა მეცადინეობა იწყება ა. წ. 29/IX დილის 9 საათიდან შემდეგ ადგილებში:

1. ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტები (ქართული და რუსული სექცია)—მე-59 სკოლის შენობაში, ფალიაშვილის ქ. 30.
2. საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიული ფაკულტეტები (ქართული და რუსული სექცია)—უნივერსიტეტის მე-3 კორპუსი, მარის ქ. № 17.
3. ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტი (ქართული და რუსული სექცია) და სომხური სექციის ყველა ფაკულტეტი — მე-70 სკოლის შენობაში, ენგელსის ქ. № 28.

100 **დირექცია.**

დედამთილი ანა, მამამთილი პავლე, მაზლები დათიკო, მიტუშა ცერცვაძეები ცოლშვილით იუწყებიან
სონა ხაჭაპურიძე-ცერცვაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზესტაფონში. 8042

სახუნტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები იუწყებიან ამხანაგის
ნოე არჩვაძის
გარდაცვალებას. 8047

თედორე, მაიკო, ნინო, გიორგი, ვერა, ეთერ ცხომელიძეები იუწყებიან
ისაკ ანტონის-ძე ჟღენტის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/IX 7 ს. გამოსვენება 26/IX 6 ს. ატენის, 12. 8050

მოლოტოვის რაიონის პროკურატურის თანამშრომლები იუწყებიან პროკურორ ვახტანგ სიდამონიძის მამის
ალექსანდრეს
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ფხვენისში (გორის რ.). 8044

კაკო ჟღენტი ცოლით ანელიათი, შვილებით ზოიათი და კუკუთი იუწყება მამის
ისაკი ანტონის-ძე ჟღენტის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/IX 7 ს. ატენის, 12, გამოსვენება 26/IX 6 ს. ვაკის სასაფლაოზე. 8034

ციციკო სოხაძე შვილით ლელოთი, ზაქარია და ლიდა მაისურაძეები შვილებით მერით და ნუნუთი, ტასო კაიშაური, ნინო ასამბაძე იუწყებიან
მარო ჟღენტი-დევიძის
გარდაცვალებას. 8035

შვილი რაჟდენ, რძალი პალინა, შვილიშვილები ზოია, სუსანა, კიმა კუკულდავები იუწყებიან
სილიბისტრო კუკულდავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/IX ს. ზედა-აკეთში (ლანჩხუთის რ.). 8037

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის იურიდიული კონსულტაცია იუწყება ამავე კონსულტაციის გამგის რაჟდენ კუკულდავას მამის
სილიბისტროს
გარდაცვალებას. 8036

შვილი ვალოდია, ძმა გრიშა, რძლები, ძმისწულები შურა, დათიკო, ეთერ იუწყებიან
ელენიჩკა ნესტორის-ასულ ხოშტარია-გაზუნიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/IX 7 ს. გამოსვენება 26/IX 6 ს. დიდუბის მე-2 შესახვ., 18. 8038

მეუღლე ნინო, შვილები ელიკო, ვახტანგ, სოკრატ, ნატო, რძლები თამარ, ნატო, შვილიშვილი ქესკინე სიდამონიძეები იუწყებიან
ალექსანდრეს
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ფხვენისში (გორის რ.). 8039

შვილები სურენ, სტეფანე, ასტო, ვანო, სონა, არტაშა, არამა, გოხარა, ვალია, რძლები და სიძეები და შვილიშვილები იუწყებიან ძვირფასი დედის
მარგალიტა გეურქოვას
გარდაცვალებას, პანაშვიდი 26/IX 7 ს. დაკრძალვა 27/IX 6 ს. რუსთაველის ქ. 20. 8049

ანეტა სიხარულიძე, სონია დოლიძე, ანეტა ელიკაშვილი - თოხაძისა, პეპელა ვაწაძე იუწყებიან მეგობრის
მარიამ ჟღენტი-დევიძის
გარდაცვალებას. 8032

მშობლები ანიკო მახათაძე, ვარდენ ხვედელიძე იუწყებიან
ჯემალის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/IX ს. ბასლევში. 8045

მშობლები იასონ, მარო მშობლებით და შვილით, ბიძები იონა, ევტიხი, გრიშა, შოთა ხუნდაძეები ცოლშვილით, პეტრე, ვანო, თადეოზ ბორტიშვილები ცოლშვილით იუწყებიან
პატარა იას
გარდაცვალებას. გამოსვენება 25/IX 5½ ს. ყიფიანის ჩიხი, 3. 8046

შვილები: გიორგი ცოლშვილით, დავითი, მარო ქმრით, ლინა ქმარშვილით, აცხადებენ დედის
სადიკო უკლებას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/IX 7 ს. გამოსვენება 26/IX 6 ს. ამოს, 11. 8048

სანაძე, ფხოველიშვილი, თარგამაძე, მიქაძე, ხუჭუა, კანდელაკი, გუხია, ჯავახიშვილი, ყანჩელი, ხარაძე, ტაბიძე, მესხი, ლოლაძე, რამიშვილი, მაჩხანელი, მიქაშავიძე, ხომერიკი, ვაშაკიძე, ფრანგიშვილი იუწყებიან
ოლია გეგეშიძის
გარდაცვალებას. 395

ხიტირი, კერესელიძე, მინდაძე, ჰელიძე, შარაშენიძე, ნასარიძე, ლომთათიძე, სტურუა, რუსიშვილი, ჯაყელი, ალიბეგოვა, სტეფანოვი, კანკავა იუწყებიან ეთერის მამის
გიორგი შოშიაშვილის
გარდაცვალებას. 8031

მშობლები რეზო, ანიჩკა, დები ჯულიეტა, ლამარა ქიტიაშვილები, დეიდა სონია ჟორჟოლიანი, პავლუშა, გულნარა გალაშვილები იუწყებიან
პატარა ნანულის
გარდაცვალებას. გამოსვენება 25/IX 5 ს. ქ. გორი, რუსთაველის, 28. 8033

სახუნტის ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები ჯაში, კუდავა, კვესელავა, ჯვებენავა, კაჭარავა, დანელია, ჯღარკავა, სიხარულიძე, ძაგანია, კახაძე იუწყებიან ლევან ცაავას შვილის
პატარა მადონას
გარდაცვალებას. 8040

ციცინო, ილიკო მატახერიები, თინა, ვარლამ ჯანელიძეები, იამზე, ლუიზა, დოდო, ლუტუნი მდივანი იუწყებიან დედის და ბებიის
ნატაშა ჟორდანია-ჩიქოვანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26/IX ქ. ზუგდიდში. 8041

ცოლი მარიამ, შვილები მიხეილ, ნინო, სიძე შალვა, რძალი ანია, შვილიშვილი გურამ იუწყებიან
ვლადიმერ პეტრეს-ძე ზულიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25/IX 8 ს. გამოსვენება 26/IX 6 ს. გოგებაშვილის, 19. 8043

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84. წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომუშვების 3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 117